ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 23 ოქტომბერი, 2023 №208 (9244) ფასი: 80 თეთრი

ქალმა პატიმრებმა რუსთავის ციხეში პირი ამოიკვრეს

გვ.3

„ისრაელ-პალესტინის ომი რუსეთისა და ირანის ინტერესშია“

კახა ქემოკლიძე: „რუსეთის ინტერესშია, რომ მთელი მსოფლიოს ყურადღება რუსეთ-უკრაინის ომიდან ახლო აღმოსავლეთში გადამისამართდეს“

გვ.2

„ოპოზიცია ძალიან არეულია“

სოსო ცინცაძე: „თუ ხალხი გაბრაზდა, მერე უკვე, როგორც იტყვიან, არაფერი უშველის „ქართულ ოცნებას“. ახლა ჯერ უკმაყოფილოა“

გვ.3

„მურუსიძის“ საკონსტიტუციო სასამართლო და პარლამენტში ჩაფლავებული იმპიჩმენტი

გვ.4

ისტორიები

ბერია ყველა თავის მტერს ყვარყვარეს ეძახდა

როგორ გადაურჩა დახვრეტას პოლიკარპე კაკაბაძე

მედიცინა

ლიმონი და ცხელი პირსახოცი თავის ტკივილის წინააღმდეგ

გვ.5

ლაშა ქვანია: „ჯორჯიან ეარვეისი“ თელ-ავივის მიმართულებით ფრენებს აჩერებს, მაგრამ წამოსვლის მსურველებს აქვთ ალტერნატივები“

გვ.2

მეთაურმა სპეცრაზმელი სასტიკად სცემა

გვ.3

იარაღის უკანონოდ ტარების ბრალდებით ბიზნესმენი გიჩო მარგველაშვილი დააკავეს

გვ.4

3 ქუთაისი-სამტრედიის გზაზე სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანა დაიწვა

3 რომის პაპი: „ომი ყოველთვის დამარცხებაა... ძმებო, გაჩერდით“

4 დამ დას სცემა — ოჯახური კონფლიქტი რუსთავში

6 ბაიდენმა ამერიკელ ხალხს მიმართა

1993230720223

„ისრაელ-პალესტინის ომი რუსეთისა და ირანის ინტერესშია“

კახა ქემოკლიძე: „რუსეთის ინტერესშია, რომ მთელი მსოფლიოს ყურადღება რუსეთ-უკრაინის ომიდან ახლო აღმოსავლეთში გადამისამართდეს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პარტია „საქართველოსთვის“ გენერალური მდივანი კახა ქემოკლიძე პასუხობს.



– ბატონო კახა, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდის პოლიტიკურ პროცესებს, ქვეყნის შიგნით თუ ქვეყნის გარეთ? „ქართულმა ოცნებამ“ პრეზიდენტის იმპიჩმენტი სცადა, თუმცა, ჩავარდა ეს საკითხი. თუ საკმარისი ხმები არ ჰქონდათ, რისთვის წამოიწყეს ეს სანახაობა?

– „ქართულ ოცნებას“ რეალურად ჰქონდა პრეზიდენტ ზურაბიშვილის გადაყენების სურვილი და ამ პროცესს ისე არ წამოიწყებდნენ, რომ მოლაპარაკება არ ჰქონოდათ სხვადასხვა ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებთან, რომლებიც პარლამენტში არიან. მმართველ გუნდს ჰქონდა მოლოდინი, რომ ისინი სხვადასხვა მექანიზმებით, მათ შორის ფინანსური საშუალებებით, მოსყიდვით, შეიძლება დაშინებით მოახერხებდნენ ასი ხმის მოგროვებას და ამაში დაეხმარებოდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობა.

– მაშინ რა შეიცვალა?

– მათ ეს პროცესი ბოლომდე ვერ გათვალეს და ამაში ჩვენც მივიღეთ მონაწილეობა, ხელი შევუშალეთ. ფაქტობრივად, პირდაპირ სააშკარაოზე გამოვიტანეთ ის კულუარული მოლაპარაკებები, რომელიც ფარდის მიღმა შეიძლება ყოფილიყო.

– ანუ იყო მსგავსი მოლაპარაკებები?

– ჩემი ინფორმაციით, ასეთი მოლაპარაკებები ნამდვილად იყო. ეს ყველაფერი წინა ორ კენჭისყრაზეც დადასტურდა. მუდმივმოქმედი მოსამართლეები აირჩიეს, მაშინაც იძახდა ნაციონალური მოძრაობა, ეს არ მოხდებაო, მაგრამ ვნახეთ, რომ მოხდა და სწორედ ნაციონალური მოძრაობის დახმარებით, დამატებით კიდევ ორი მოსამართლე აირჩა. პრეზიდენტ ზურაბიშვილის ისტორია იყო გამიზნული, მათ მიზნად დაისახეს მისი პოლიტიკური დაზიანება. ძლიერი ზურაბიშვილი, უფრო მეტად აგრესიულად განწყობილი მათდამი და ქვეყნის მიმართული ევროპისკენ, ეს პირდაპირ კონფრონტაციაში მოდიოდა იმ სტრატეგიასთან, რომელიც „ქართულ ოცნებას“ ჰქონდა არჩეული. აი, ეს იყო მთავარი მიზეზი. მათი მიზანი იყო, რომ პრეზიდენტი დაეზიანებინათ.

– პრეზიდენტი გაგიჟდაო, ასეთი შეფასებაც კი მოვისმინეთ ზარქუასაგან...

– ბრიყვისგან არავის უნდა გაუკვირდეს მსგავსი ტიპის კომენტარები. თუმცა, აქ ძირითადი კონტექსტი ბევრად უფრო მნიშვნელოვანია. რატომ დაიწყეს მთლიანად ეს პროცესი?!

– რატომ?

– მათ დაინახეს, რომ პრეზიდენტი ზურაბიშვილი ახდენდა მთლიანად ამ ევროპეიზაციის სწორი მიმართულებით წაყვანას. ერთადერთი ინსტიტუცია, რომელიც ფაქტიურად მათი კონტროლიდან გავიდა, იყო პრეზიდენტის ინსტიტუტი.

– ბატონო კახა, ბოლო პერიოდია, ძალიან ბევრს საუბრობენ გიორგი გახარიასა და ქალბატონი სალომე ზურაბიშვილის ალიანსზე. თუ გაქვთ ამ საკითხზე მოლაპარაკება, ან სამომავლოდ ხომ არ იგეგმება თქვენი ალიანსი? ეს საკითხი დღის წესრიგში ასე აქტიურად რატომ დადგა?

– ეს საკითხი უფრო კონსპირაციების თეორიის ბაზისს შეიცავს. როდესაც ვიკითხე, თუ რატომ გახდა ეს საკითხი მედიისთვის ასე აქტუალური და რა უდევს ამ ყველაფერს საფუძვლად, არგუმენტად მივიღე, რომ ჩვენ, ჩვენი კომენტარებით ყოველთვის ვიცავთ პრეზიდენტ ზურაბიშვილს. ეს კი მცდარი წარმოდგენაა, რადგან პრეზიდენტ ზურაბიშვილს კი არ ვიცავთ, არამედ ვიცავთ ერთადერთ ინსტიტუციას, რომელიც ჯერ კიდევ დამოუკიდებელია და ამაში ჩვენი პატარა წვლილიც არის. მნიშვნელოვანია, რომ არჩევნებამდე ერთი ინსტიტუცია მაინც არსებობდეს, სანამ ახალი პრეზიდენტი ახალი კონსტიტუციური მოწყობით დაინიშნება, რომელსაც კიდევ უფრო დაბალი ლეგიტიმაცია ექნება ინსტიტუციურ დონეზე, მანამდე იარსებოს დამოუკიდებელმა საპრეზიდენტო ინსტიტუტმა.

პრეზიდენტი ზურაბიშვილი მოსწონთ თუ არ მოსწონთ, ის დღეს სწორად ოპერირებს, სწორად აზროვნებს და ქვეყანა სწორი მიმართულებით მიჰყავს. ვიცავთ ინსტიტუტს და სწორედ ამიტომ წარმოიშვა ეს ჭორები.

– ანუ ეს მხოლოდ ჭორებია, ბატონო კახა?

– მხოლოდ ჭორებია, რა თქმა უნდა. იმიტომ, რომ არანაირ კონფიგურაციულ გადაჯგუფებაზე და ფიგურების მიღებასა თუ გაშვებაზე საუბარი არ არის. ჩვენ გვაქვს ჩვენი ძალიან მკაფიო სტრატეგია და ამ სტრატეგიას მივყვებით. ჯერჯერობით, ეს სტრატეგია ამართლებს და იმედია, ბოლომდე გაამართლებს.

– თუ უშვებთ, რომ პრეზიდენტი წავიდეს ოპოზიციაში?

– ქართული პოლიტიკა შოკოლადის ყუთს ჰგავს, გავხსნით და არ ვიცით, როგორი შოკოლადი შეგვხვდება და რა ამოვა. ყველაფერია შესაძლებელი ქართულ პოლიტიკაში, ამიტომ, რა თქმა უნდა, ვუშვებ.

– ბატონო კახა, კანდიდატის სტატუსის მოლოდინშია ქვეყანა. როგორია თქვენი შეფასებები, გვექნება სტატუსი?

– ჩვენ ვიცით რომ „ქართული ოცნების“ პოლიტიკა უკვე ირიბად კი არა, პირდაპირ აზიანებს ამ კურსს. უკვე ევროპელებიც ვეღარ მალავენ ამ რეაქციებს, იმის მაგივრად, რომ მუხლჩაუხრელი შრომა იყოს, პროცესს მიზანმიმართულად აზიანებენ. კითხვაზე, რა გველოდება? დარჩა სადღაც ერთი თვე, რომ გავიგოთ ევროკომისიისგან, თუ რა კონტურები მოიხაზება. მე რაც წავიკითხე და რა შეფასებებსაც მოვუსმინე, ჩემი ანალიტიკური ინსტიქტი მკარნახობს, რომ პროცესი არის სადღაც შუაში, 50/50-ზე. მათი მხრიდან გეოპოლიტიკური ვითარება, ალბათ, უფრო გამოდგება არგუმენტად, რომ მოდი, მაინც მივანიჭოთ და დავაფასოთ ქართველი ხალხის ლტოლვა ევროპისკენ და თვალი დავხუჭოთ იმ შეცდომებზე, რომელიც დაუშვა „ქართულმა ოცნებამ“.

ჩვენ, როგორც ოპოზიციონერები, მივიჩნევთ, მიუხედავად იმისა რომ ხელისუფლება უვარგისია, აუცილებლად უნდა მივიღოთ კანდიდატის სტატუსი. რადგან ეს არის გეოპოლიტიკური შესაძლებლობის ერთ-ერთი საუკეთესო ინსტრუმენტი, რომელიც საქართველოს ბოლო 30 წლის განმავლობაში ჰქონია.

– ბატონო კახა, თქვენთვისაც ცნობილია, როგორი დაძაბული ვითარებაა ისრაელსა და პალესტინას შორის. როგორია თქვენი შეფასებები? რამდენად სახიფათო ვითარებაა?

– ისრაელ-პალესტინის კონფლიქტი ძალიან მგრძნობიარეა, ძალიან სათუთია და ეს ყველაფერი ხდება ამ დღეებში და ჩვენ ყველანი ამის მომსწრეები ვართ. წარმოუდგენელი თავდასხმა განახორციელა ისრაელზე ჰამასმა, რომლის შედეგადაც 1.300 ადამიანი დაიღუპა. ეს მათი ისტორიის მართლაც ერთ-ერთი წარმოუდგენელი ტრაგედიაა. რა თქმა უნდა, მათ განსაზღვრული აქვთ, რომ ჰამასი დაისაჯოს და ბოლომდე განადგურდეს. ამისთვის ისინი აპირებენ სახმელეთო ოპერაციის წამოწყებას, წარმოუდგენლად რთულ გეოგრაფიულ ზონაში. ეს ძალიან დიდი დანაკარგების რისკს შეიცავს როგორც ერთი მხრიდან, ისე მეორე მხრიდან. შესაბამისად, ამ ოპერაციას სჭირდება ძალიან ეფექტური გათვლა, მათ შორის სადაზვერვო გათვლა და ახლა სწორედაც ეს ხდება. რა მიმართულებით განვითარდება ეს ოპერაცია, ან გაგრძელდება თუ არა გრძელ ვადებში, ეს ჯერ არავინ იცის. ჰამასს განზრახული აქვს, რომ დრო გაწელოს, მათ შორის ბრძოლის. დიდი რისკია, რომ ამ ბრძოლაში ჩაერთოს ჰეზბოლა. ერთი რამ შემიძლია გითხრათ ამ ეტაპზე, რომ რასაც ჩვენ ვუყურებთ, ეს არ არის მხოლოდ ისრაელ-პალესტინის დაპირისპირება, ეს არის გაცილებით დიდი გეოპოლიტიკის შემადგენელი ნაწილი. რაც პირდაპირ მიზნად ისახავს ორ რამეს.

– კერძოდ რას?

– ბოლო წლების განმავლობაში ხდებოდა ძალიან ეფექტიანი ახლო აღმოსავლური დიპლომატიის ჩამოყალიბება ისრაელსა და მსხვილ მოთამაშეებს შორის. ამ შემთხვევაში ვგულისხმობ არა მარტო საუდის არაბეთს, რომელთანაც დიპლომატიური ურთიერთობები აღდგა. ბოლო ორი წლის განმავლობაში საელჩოები გაიხსნა და გრძელვადიან მშვიდობაზე აქტიურად მიდიოდა საუბარი, ამერიკელების ძალიან დიპლომატიური მედიაციით, ასევე დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა მიდიოდა ისრაელის მხრიდან ემირატებთან.

– ვის ინტერესში შედიოდა ასეთი დიდი შეთანხმების ჩაშლა?

– ყველაზე დიდი ინტერესი ამ შეთანხმების ჩაშლისა და ისრაელსა და არაბულ ქვეყნებს შორის დიპლომატიის მაგიდის გადაყირავება შედიოდა ირანის სტრატეგიულ ინტერესში. რუსეთი და ირანი კი სტრატეგიული პარტნიორები არიან და ირიბად, რუსეთის ინტერესშია, რომ მთელი მსოფლიოს ყურადღება, რომელიც მიმართული იყო რუსეთ-უკრაინის ომზე, ახლა გადამისამართდეს ძალიან მსხვილმასშტაბიან კონფლიქტზე ახლო აღმოსავლეთში. ამ ყველაფერში რუსეთს თავის ინტერესი აქვს და ირანს – თავისი.

– რა მოლოდინი გაქვთ? პროცესების როგორ განვითარებას ელით?

– მე ვფიქრობ, მიუხედავად იმისა, რომ სახმელეთო ოპერაცია გაიწელა, ის მაინც დაიწყება. ეს პაუზა, რომელიც ახლა ხორციელდება, ეს არის ფარდის მიღმა დიპლომატიის შედეგი, რომელიც მიზნად ისახავს მძევლების მაქსიმალური რაოდენობით გათავისუფლებას და გამოყვანას ღაზას სექტორიდან, რადგან მათი სიცოცხლე საფრთხეშია. იმედი მაქვს, რომ ოპერაცია არ გაგრძელდება თვეების განმავლობაში. როდესაც დაიწყება, მაქსიმალურად სწრაფად განვითარდება და მალე დამთავრდება. გაგრძელების შემთხვევაში დიდი რისკია სამხედრო ესკალაციის სხვადასხვა მთავარი მოთამაშეების მხრიდან.

„არ გვეკუთვნის“ — მურმან დუმბაძე კანდიდატის სტატუსზე

მურმან დუმბაძე აცხადებს, რომ კანდიდატის სტატუსი არ გვეკუთვნის. ამის შესახებ ის სოციალურ ქსელში წერს.

მისი თქმით, თუ მაინც მოგვცეს კანდიდატის სტატუსი, ოცი ოცდაათი გარანტირებულია, რაც იქნება კატასტროფა. „არ გვეკუთვნის! თუ მაინც მოგვცეს კანდიდატის სტატუსი, ოცი ოცდაათი გარანტირებულია! რაც იქნება კატასტროფა!“ – მურმან დუმბაძე სოციალურ ქსელში წერს.

ბენეტი: „ღაზაში არსებული ჰუმანიტარული კრიზისი ჩვენი საქმე არ არის“

ისრაელის ყოფილი პრემიერ-მინისტრი, ნაფტალი ბენეტი ამბობს, რომ ღაზაში არსებული ჰუმანიტარული კრიზისი მათი საქმე არ არის.

– მსოფლიოს შეუძლია, მოვიდეს და ღაზის მოსახლეობას დაეხმაროს, თუმცა, ეს ჩვენი საქმე არ არის, – თქვა მან. მისივე თქმით, ჰუმანიტარული დახმარება ორმხრივი უნდა იყოს და „ჰამასმა“ ტყვეები გაათავისუფლოს.

შეგახსენებთ, 7 ოქტომბერს, ღაზას სექტორიდან ისრაელზე მოულოდნელი სარაკეტო და სახმელეთო თავდასხმა წამოიწყეს. თავდასხმაზე პასუხისმგებლობა ტერორისტულმა დაჯგუფება „ჰამასმა“ აიღო და მას ოპერაცია „ალ-აკსას შტორმი“ უწოდა. სარაკეტო იერიშის საპასუხოდ, ისრაელის თავდაცვის სამინისტრომ საომარი მდგომარეობა და ოპერაცია „რკინის ხმლების“ დაწყება გამოაცხადა.

ლაშა ჟვანია: „ჯორჯიან ეარვეისი“ თელ-ავივის მიმართულებით ფრენებს აჩერებს, მაგრამ წამოსვლის მსურველებს აქვთ ალტერნატივები“

ისრაელში საქართველოს ელჩი, ლაშა ჟვანია ამბობს, რომ ისრაელის საერთაშორისო აეროპორტის დაკეტვაზე ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება. მისივე თქმით, „ჯორჯიან ეარვეისი“ 22 ოქტომბრიდან აჩერებს ფრენებს თელ-ავივის მიმართულებით, თუმცა, საქართველოში წამოსვლის მსურველებს შეეძლებათ ისარგებლონ 3 ავიაკომპანიის რეისებით.

– ჩვენ კავშირზე ვართ ჩვენს მოქალაქეებთან, რომლებიც რეგისტრირებულები არიან საელჩოში და რომელთა ნომრებიც გვაქვს. ყველასთან განხორციელდა გუშინ სატელეფონო ზარი, და პრაქტიკულად ყველა მათგანი არის ჩვენი კონტროლის ქვეშ. გავრცელდა ასევე არასწორი ინფორმაცია, თითქოს ისრაელის საერთაშორისო აეროპორტი იკეტება. არ შეესაბამება ეს სიმართლეს. ერთადერთი, რა სიახლეც გვაქვს, არის ის, რომ კომპანია „ჯორჯიან ეარვეისი“ შეწყვეტს ხვალიდან პირდაპირი რეისების განხორციელებას, მაგრამ როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, მას გადააქვს რეისები ლარნაკა-თბილისის მიმართულებაზე, დამატებით რეისებს ახორციელებს, ხოლო თელ-ავივი-ლარნაკის მიმართულებით რეისები ხორციელდება, გარდა ამისა, ყოველდღიურად კომპანია „ელალი“, „ისრეარი“ და „აირკი“ ახორციელებენ თბილისისა და ბათუმის მიმართულებით რეისებს, ასე რომ ისრაელიდან საქართველოში გამოფრენის მსურველებს აქვთ ეს ალტერნატივები, – თქვა ჟვანიამ.

მისივე ინფორმაციით, ბოლო ორი კვირის მანძილზე 11.000-ზე მეტი ადამიანი გამოემგზავრა ისრაელიდან საქართველოში.

ISSN 1987-9385

ახალი თაობა

გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი

რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

საფინანსო სამსახური – ელარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 599-532-690

დირექტორი – ზურაბ ბერიძე

გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge

ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com

ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ოპოზიცია ძალიან არეულია“

სოსო ცინცაძე: „თუ ხალხი გაბრაზდა, მერე უკვე, როგორც იტყვიან, არაფერი უშველის „ქართულ ოცნებას“. ახლა ჯერ უკმაყოფილოა“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო სოსო, 2024 წელს მორიგი არჩევნები არ არის, მნიშვნელოვანი არეჩვნებია. როგორ ფიქრობთ, რამდენად რთული არჩევნები იქნება?

– რთული არჩევნები გველოდება. ოპოზიციურ ფლანგზე სურათი არ არის დალაგებული. მმართველი პარტია კი მზად არის, გამარჯვება მორიგ ჯერზე იზეიმოს. პოლიტიკა საქართველოში ჯერ არ არის დაღვინებული, ჯერ კიდევ დუღილის პროცესშია, რაც ძალიან ცუდია ქვეყნისთვის.

– ფარული, უკანონო კადრები, ცემა, დანაშინება ისევ იქნება?

– საქართველოში არჩევნები ამის გარეშე როდის ყოფილა?! იქნება, მაგრამ რაც აქამდე არ გვინახავს, ალბათ არა.

ამ არჩევნებს ერთადერთი განმასხვავებელი ნიშანი აქვს 30 წლის მანძილზე ჩატარებული ყველა არჩევნებისგან. წყალგამყოფი არის საგარეო პოლიტიკა. ყველა ხელისუფლების, ვინც აქამდე ხელისუფლებაში იყო, საგარეო პოლიტიკა პროდასავლური იყო. ამიტომ ისტორიული არჩევანი მოქალაქეებმა უნდა გააკეთონ. მოქალაქეებმა უნდა აიღონ საკუთარ თავზე, არიან მზად არჩევანი პრორუსული პოლიტიკის სასარგებლოდ გააკეთონ, თუ არ არიან. ეს ძალიან სერიოზული არჩევანია. ეს გამოცდა ამომრჩეველმა უნდა ჩააბაროს. ამიტომ, ახლა ხელისუფლებას საქმე აქვს არა ოპოზიციასთან, რომელსაც თავისი თავი გასჭირვებია, საქმე აქვს ხალხთან – ამ ქვეყნის მოქალაქეებთან. ეს ძალიან რთული მოცემულობაა. ეს არ არის მარტივი ამბავი.

ამ ქვეყნის მოქალაქეების აბსოლუტური უმრავლესობა ამბობს, რომ გენეტიკურად ევროპელია და ამ ოჯახში უნდა. მის მიერ არჩეული ხელისუფლება კი მიიჩნევს, რომ არაფერი დაშავდება, თუ ეს ოჯახი უარს გვეტყვის, მათ იკითხონ, თორემ ჩვენ არაფერს ვკარგავთო. არის კი მისაღები ეს პოზიცია, ამას უნდა გასცეს პასუხი ხალხმა.

– ოპოზიციურ ფლანგზე რამდენად არის სერიოზული გადაჯგუფება მოსალოდნელი?

– ისეთი გადაჯგუფება, რომელმაც შეიძლება ძალთა ბალანსი შეცვალოს, მოსალოდენელი არ არის. ოპოზიცია ძალიან აჭრილია. მეტიც, ძალიან არეულია. თუმცა, როგორც გითხარით, არის ხოლმე ვითარება, როდესაც მმართველი პარტია ოპოზიციის გარეშე აგებს არჩევნებს. მე არ გამოვრიცხავ, რომ ასეთი რეალობა დადგეს 2024 წელს. „ქართულმა ოცნებამ“ შესაძლოა არჩევნები წააგოს და არა იმიტომ, რომ ოპოზიცია ძლიერია.

– გაბრაზებული ხალხი მივიდეს საარჩევნო ურნასთან?

– დიახ. თუ ხალხი გაბრაზდა, მერე უკვე, როგორც იტყვიან, არაფერი უშველის „ქართულ ოცნებას“. თუმცა, ახლა ხალხი უკმაყოფილოა, ჯერ გაბარზებული არ არის. უკმაყოფილებასა და გაბრაზებას შორის ძალიან დიდი განსხვავებაა. შეიძლება ამომრჩეველი უკმაყოფილო იყოს, მაგრამ არჩევნებზე ხმა ისევ მმართველ პარტიას მისცეს. მაგრამ გაბრაზების შემთხვევაში, მზად არის, მმართველი პარტიის გარდა, ყველა შემოხაზოს. უკვე აღარ აქვს მნიშვნელობა, ვინ იქნება, ოღონდ ესენი არა. ასეთია გაბრაზებული ამომრჩევლის პოზიცია და არჩევანსაც ამ პოზიციიდან აკეთებს.

ახლა ქვეყანაში არის ტოტალური უკმაყოფილება, მაგრამ არა გაბრაზება. ამ ერთ წელიწადში რა მოხდება, რა შეცდომას დაუშვებს „ოცნება“, არავინ იცის.

– ოპოზიცია თითქოს ჩამოწერეთ? თითქოს აღარც არსებობენ.

– ოპოზიციას ახლა ერთადერთი ამოცანა უნდა ჰქონდეს, უნდა ერთიანდებოდეს და ჩრდილოვან კაბინეტს უნდა ადგენდეს ყველა მიმართულებაზე – საგრეო პოლიტიკაზე, ჯანდაცვაზე, განათლებაზე, თავდაცვაზე. ერთი სპიკერი უნდა ჰყავდეს და ხალხს უნდა უყვებოდეს, რა არის ახლა და როგორ აპირებენ მის შეცვლას.

– რამდენად არის დღეს „ქართული ოცნება“ მზად არჩევნების წაგებისთვის?

– ჩვენს ქვეყანაში მმართველი პარტია დამარცხებისთვის მზად არასდროს არის. შესაბამისად, არც „ქართული ოცნებაა“ ამისთვის მზად. საქართველოში არჩევნების წაგება ხომ დაპატიმრებას, პროკურატურაში დაბარებას, დაკითხვებს ნიშნავს. ამიტომ არის, რომ დამარცხება სიკვდილის ტოლფასია.

– ნაციონალური მოძრაობის დამარცხებისა და „ქართული ოცნების“ გამარჯვების დროს ტერმინი „კოჰაბიტაცია“ ყველას ყურს ჭრიდა.



„ჩვენთან ვერცერთმა ხელისუფლებამ შეძლო მონანიება. შესაბამისად, არ იყო პატიება. თითქოს არცერთ ხელისუფლებას არაფერი შეშლოდეს. უნდა შეძლო შეცდომების აღიარება“

– დიახ, სწორად გაიხსენეთ. საქართველომ პოლიტიკური კულტურის ამ დონეს რომ მიაღწიოს, ალბათ, კიდევ ორი თაობა იქნება საჭირო. 30 წელი, როგორც ჩანს, ძალიან ცოტა დროა საიმისოდ, რომ საიდანაც არის ეს ტერმინი (ფრანგულია), იმ ქვეყნის პოლიტიკის კულტურა დამკვიდრდეს.

ისე, ერთიც არის, პატიება მონანიების გარეშე არ არსებობს. ჩვენთან ვერცერთმა ხელისუფლებამ შეძლო მონანიება. შესაბამისად, არ იყო პატიება. თითქოს არცერთ ხელისუფლებას არაფერი შეშლოდეს. უნდა შეძლო შეცდომების აღიარება. დანაშაულებებიც უნდა აღიარო, რომ როგორც სახელმწიფო შევდგეთ.

სამართალი

ქალმა პატიმრებმა რუსთავის ციხეში პირი ამოიკერეს

ქალმა პატიმრებმა რუსთავის ციხეში პირი ამოიკერეს. ამის დამადასტურებელი ინტერვიუები „პირველებმა“ მოიპოვა. მსჯავრდებულები ყვებიან, რომ პროტესტის უკიდურეს ფორმას არადამიანური მოპყრობის გამო მიმართეს. ირკვევა, რომ ვისაც ჯანმრთელობის პრობლემა აქვს, ის ციხიდან კლინიკაში არ გადაჰყავთ. „ვიტანჯებით ტკივილებით“, – ეუბნებიან „პირველებს“ სხვადასხვა დანაშაულისთვის გასამართლებულები სატელეფონო საუბარში.

პატიმრები გულგრილობასა და არაადამიანურ მოპყრობაში ციხის ადმინიტრაციასა და მთავარ ექიმს ამხელენ.

– რამდენიმე დღის უკან ამოვიკერე პირი, იმიტომ, რომ არ გამეწია სამედიცინო სწორი მკურნალობა. მიუხედავად თხოვნებისა, შიმშილობისა, არ წამიყვანეს. როდესაც ვიყავი პირგაკერილი ანუ ზონაზე რომ დავჯექი და რომ მხედავდნენ, რომ პირი მქონდა გაკერილი, მერე გადაწყვიტეს საავადმყოფოში გადაყვანა. ამ დონემდე მიჰყავთ, – ამბობს თამთა ჯანჯღავა.

გაუსაძლის მდგომარეობაზე საუბრობს კიდევ ერთი პატიმარი.

– ადამიანი ტკივილისგან უნდა მოკვდეს, თუ არადა, არ გადაიყვანენ. ახლა ერთი გოგონაა აქ, სალომე შენგელია, ცხვირის ოპერაცია გაიკეთა „ვივა-მედში“, ძაფები აქვს გამოშვერილი ცხვირიდან, დღეს უნდა გაეყვანათ, მაგრამ უარი უთხრეს, არ გაგიყვანთო, თავისით გაიწოვსო. თავისით არ გაიწოვს, იმიტომ, რომ სისხლდენა აქვს ცხვირიდან, – ამბობს ნათია ალუღიშვილი.

გერმანიაში ძვირადღირებული სასმელის ქურდობისთვის ქართველები დააკავეს

გერმანიაში, ქალაქ როზენჰაიმში 37 წლისა და 32 წლის ქართველები ალკოჰოლური სასმელის ქურდობისთვის დააკავეს. როგორც გერმანული მედია წერს, ქართველებმა 2023 წლის 9 ოქტომბრიდან 17 ოქტომბრის ჩათვლით როზენჰაიმის რაიონის სხვადასხვა რაიონში რამდენიმე მაღაზია გაძარცვეს, საიდანაც ძვირადღირებული ალკოჰოლური სასმელები მოიპარეს.

გავრცელებული ინფორმაციით, ისინი 2023 წლის 17 ოქტომბერს, „ედეკას“ მარკეტში ქურდობის მცდელობისას დააკავეს. ასევე მათთან ერთად დაკავებულია კიდევ ერთი, 48 წლის უკრაინელი.

ისინი როზენჰაიმის პოლიციამ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გადაიყვანა.

მეთაურმა სპეცრაზმელი სასტიკად სცემა



სრული განუკითხაობა შინაგან საქმეთა სამინისტროში – ინფორმირებული წყარო „შაბათის ეთერს“ უყვება, რომ განსაკუთრებულ საქმეთა დეპარტამენტის ბაზაზე, ერთ-ერთმა მეთაურმა, იაგო ახალკაცმა რიგითი, ლევან მონასელიძე სასტიკად სცემა.

წყარო ამბობს, რომ ზემდგომი დარწმუნებული არც იყო, რომ რიგითი გადარჩა.

შაბათის ეთერმა პოლიციის მაიორის გადაღება შეძლო. დაზიანებები ახალგაზრდა კაცს სახის არეში აღენიშნება.

სისხლიანი ანგარიშსწორება 27 აგვისტოს მოხდა. ლევან მონასელიძეს მრავლობითი დაზიანებები და მოტეხილობები აღენიშნებოდა.

სპეცრაზმელი კლინიკაში გადაიყვანეს, სადაც მას გადაუდებელი ოპერაცია ჩაუტარდა და პოლიციაც გამოიძახეს. განსაკუთრებულ საქმეთა დეპარტამენტში მომხდარის გამო სპეცრაზმელებში დიდი უკმაყოფილება გაჩნდა, რის გამოც გომელაური იძულებული გახდა, იაგო ახალკაცი თანამდებობიდან გაეთავისუფლებინა.

ქუთაისი-სამტრედიის გზაზე სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანა დაიწვა

ქუთაისი-სამტრედიის გზაზე სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანა დაიწვა. ცეცხლის გაჩენის მიზეზი უცნობია.

არსებული ინფორმაციით, იმ დროისთვის ეკიპაჟს პაციენტი არ გადაჰყავდა.

საზოგადოება

გასულ წელს 434-მა არასრულწლოვანმა იმშობიარა

2022 წელს 815 არასრულწლოვანი ორსული დარეგისტრირდა, ხოლო არასრულწლოვანთა მშობიარობის რიცხვი 434-ს აღწევს“, – ამის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის შესახებ მომზადებულ ანგარიშში წერია.

ომბუდსმენი წერს, რომ ადრეულ ასაკში ქორწინების შემდეგ გოგონების მხრიდან განათლების მიღების შეწყვეტა ისევ პრობლემურ საკითხად რჩება და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რეკომენდაციებით მიმართავს.

– ადრეულ და ბავშვობის ასაკში ქორწინების საზიანო პრაქტიკა კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ინფორმაციით, 2022 წელს 815 არასრულწლოვანი ორსული დარეგისტრირდა, ხოლო არასრულწლოვანთა მშობიარობის რიცხვი 434-ს აღწევს. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში შესაძლო ადრეულ ასაკში ქორწინების 171 ფაქტზე დაიწყო გამოძიება. 2022 წელს სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს მიერ შესწავლილი ადრეულ ასაკში ქორწინების შემთხვევების რაოდენობა (400 ფაქტი) მკვეთრად აღემატება გასულ წლებში შესწავლილი საქმეების რაოდენობას. ამასთანავე, კვლავ პრობლემურია ბავშვობის ასაკში ქორწინების გამო, არასრულწლოვანი გოგოების მხრიდან განათლების მიღების შეწყვეტა, – ვკითხულობთ ლევან იოსელიანის ანგარიშში.

რომის პაპი: „ომი ყოველთვის დამარცხებაა... ძმებო, გაჩერდით“

„ომი ყოველთვის დამარცხებაა... ძმებო, შეჩერდით“, – ამის შესახებ რომის პაპი ფრანცისკე ამბობს და ისრაელისა და „ჰამასის“ ომს ეხმაურება.

– კიდევ ერთხელ ვფიქრობ იმაზე, რაც ისრაელსა და პალესტინაში ხდება. ძალიან შეშფოთებული და დამწუხრებული ვარ. ვლოცულობ ყველა დაზარალებულისთვის, მძევლისთვის, დაშავებულისთვის, დაღუპულისა და მათი ოჯახებისთვის.

ვიმეორებ ჩემს მოწოდებას, რომ გაგრძელდეს ჰუმანიტარული დახმარება და გათავისუფლდნენ მძევლები. წამებულ უკრაინაზეც ვფიქრობ. ომი ყოველთვის დამარცხებაა. ეს ადამიანთა ძმობის განადგურებაა. ძმებო, შეჩერდით, – თქვა რომის პაპმა.

ისრაელმა მეჩეთის ტერიტორიაზე მიწისქვეშა კომპლექსებზე იერიში მიიტანა

ებრაელი სამხედროები აცხადებენ, რომ მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირზე მეჩეთ ალ-ანსარის ტერიტორიაზე მიწისქვეშა კომპლექსზე პრევენციული იერიში მიიტანეს.

ისრაელის თავდაცვის ცნობით, მეჩეთის ქვეშ ჰამასის და „ისლამური ჯიჰადის“ ტერორისტული ცენტრები იყო მოწყობილი. სწორედ ისინი არიან პასუხისმგებელი რამდენიმე ტერორისტულ აქტზე, რომლებიც ბოლო თვეებში განხორციელდა.

„მურუსიძის“ საკონსტიტუციო სასამართლო და პარლამენტში ჩაფლავებული იმპიჩმენტი

მარიამ მჭედლიშვილი

„ამ მოსამართლეებმა დაამტკიცეს, რომ მურუსიძის ხელქვეითები არიან“

გასული კვირის საქართველოს პოლიტიკა დატვირთული იყო საიმპიჩმინტო განმანაწილით. 16 ოქტომბერს საკონსტიტუციო სასამართლომ გამოაცხადა თავისი ვერდიქტი პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხზე. საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების უმრავლესობამ მიიჩნია, რომ პრეზიდენტმა კონსტიტუცია დაარღვია. სამმა მოსამართლემ ეს მოსაზრება არ გაიზიარა.

საკონსტიტუციო სასამართლომ, როგორც მოსალოდნელი იყო, დაასკვნა, რომ სალომე ზურაბიშვილმა დაარღვია კონსტიტუცია, როცა თავისი სამუშაო ვიზიტები მთავრობის თანხმობის გარეშე განახორციელა.

საკითხი პარლამენტში გადმოვიდა.

პოლიტიკოსები საიმპიჩმენტო თემაზე პარლამენტში კენჭისყრამდეც გამოთქვამდნენ მოსაზრებებს.

ყოფილი დეპუტატი, იურისტი ლევან გოგიჩაიშვილი:

– საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები, რომლებმაც მხარი დაუჭირეს პრეზიდენტის იმპიჩმენტს, დაადგნენ მურუსიძე-ჩინჩალაძის გზას. ისინი მისდევენ კობახიძის ლოგიკას. ეს არის სადამსჯელო ღონისძიება და არჩევნებამდე ერთი წლით ადრე პრეზიდენტის პოლიტიკური პროცესებიდან ჩამოშორების მცდელობა. ეს მიმართულია პრეზიდენტის ინსტიტუტის, პოლიტიკური სისტემის, პირადად სალომე ზურაბიშვილის, საქართველოს ევროპული გზის წინააღმდეგ. მათ თავი მოჭრეს იმ მოსამართლეებს, რომლებსაც რეჟიმთან მებრძოლის რეპუტაცია ჰქონდათ. ამ მოსამართლეებმა დაამტკიცეს, რომ მურუსიძის ხელქვეითი მოსამართლეები არიან.

პარტია „სამართლიანობისათვის“ ლიდერი, იურიდიული კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე ეკა ბესელია:

– ყოჩაღ, იმ მოსამართლეებს, რომლებმაც განსხვავებული მოსაზრება დაწერეს. ძალიან სამწუხაროა, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ ასე დააზიანა თავისი იმიჯი. ბევრს ჰქონდა განცდა, რომ სასამართლო არ შეასრულებდა ირაკლი კობახიძის წინასწარ გაცხადებულ სურვილს. როცა საკონსტიტუციო ცვლილებებს ვიღებდით, არც კი დაგვიშვია, რომ პრეზიდენტს ყოველი საერთაშორისო ვიზიტის დროს თანხმობა (მთავრობის თანხმობა) სჭირდება.. უუფლებო პრეზიდენტი უნდათ. ეს ცუდი სიგნალია ევროკავშირისთვის.

„ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე:

– საპრეზიდენტო უფლებამოსილების ბოლო, მეექვსე წელს ის (სალომე ზურაბიშვილი) სრულად იქნება მოკლებული პოლიტიკურ და მორალურ ლეგიტიმაციას. კონსტიტუციის დამრღვევი პრეზიდენტი საქართველოს პრეზიდენტად დღეიდან უკვე ფორმალურად განიხილება.

ნაციონალური მოძრაობა, ლევან ბეჟაშვილი:

– საკონსტიტიციო სასამართლო, როგორც დამოუკიდებელი ორგანო, აღარ არსებობს. ყველაფერი „ქართული ოცნებისა“ და ბიძინა ივანიშვილის ვერტიკლს ექვემდებარება.

დეპუტატი თეონა აქუბარდია:

– ახლა მიდის პრეზიდენტის ინსტიტუტის მიტაცება. როცა აწყობდათ, მაშინ (სალომე ზურაბიშვილი) იყო პრინციპული არჩევანი, როცა ქვეყნის საგარეო ვექტორის სამსახურში ჩადგა, „ულირსი პრეზიდენტი“ არის და „კოჭლი იხვი“.

პარტია „ლელო“, მამუკა ხაზარაძე:

– საკონსტიტუციო სასამართლომ ანტისახელმწიფოებრივი გადაწყვეტილება მიიღო. პრეზიდენტი დაადანაშაულა იმაში, რომ ჩვენი ქვეყნის კონსტიტუციაში გაცხადებული მისწრაფების აღსრულებას ემსახურებოდა.

პარტია „ხალხისათვის“, ანა დოლიძე:

– სასამართლო კლანმა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ პრეზიდენტის მხრიდან კონსტიტუციის დარღვევაც გადაყლაპა. ამ პროცესს მინიმალური კავშირი აქვს იმასთან, თუ რა სჭირდება ქართველ ხალხს. ეს „ქართულ ოცნებას“ ერთი მიზნისთვის სჭირდება – არ ისაუბრონ პოლიტიკოსებმა მოქალაქეების რეალურ პრობლემებსა და საჭიროებებზე.

უმრავლესობის წევრი გიორგი კახიანი:

– იმ გადმოსახედიდან, რომ კონსტიტუციის დაცვა არის უზენაესი ღირებულება, ოპოზიციამაც სწორი გადაწყვეტილება უნდა მიიღოს. ეს პრევენციისთვის მნიშვნელოვანი იქნება, რათა განმეორებით (პრეზიდენტს) ასეთი ქმედების ჩადენა აღარ მოუნდეს.

„სტრატეგია აღმაშენებელი“, პაატა მანჯგალაძე:

– იმპიჩმენტის პროცედურა არის სამართლებრივი და პოლიტიკური საკითხი. ჩვენთან 100%-ით პოლიტიკურია. არ მივიღებთ მონაწილეობას (კენჭისყრაში), რადგან შეიძლება ვიღაცამ დააჭიროს ხელი და შემდეგ მის ნაცვლად მთელმა ოპოზიციამ იმართლოს თავი.

• • •

პრეზიდენტმა ოპოზიციას გარეთ შეკრებისკენ მოუწოდა

პარლამენტში იმპიჩმენტის საკითხის განხილვას პრეზიდენტიც დაესწრება. ამის თაობაზე სალომე ზურაბიშვილმა გამოაცხადა. მისი თქმით, „პატარა კაცებთან“ მისვლის არ ეშინია. მან საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება „ქვეყნისათვის ძალიან დიდი ზიანის მიყენებად“ შეაფასა და ამ საკითხის განხილვის დროს ოპოზიციას გარეთ დადგომისკენ მოუწოდა.

– მინდა ვურჩიო ოპოზიციას, თუ უნდათ, სურათი იყოს ძლიერი, გარეთ დადგნენ. დადგნენ ამ ანტიევროპული იმპიჩმენტის წინააღმდეგ, – განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

ამასთან, ყველა ოპოზიციონერმა ვერ გაიგო რა იგულისხმებოდა ამ სიტყვებში – იმპიჩმენტის კენჭისყრის პროცესში არდასწრება თუ პროტესტი ქუჩაში.

პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანმა გიორგი მსხილაძემ განმარტა, რომ ეს სიტყვები არ არის დაკავშირებული კენჭისყრასთან (შიშთან, რომ ოპოზიცია იმპიჩმენტს ხმას მისცემს). იგულისხმება, რომ ოპოზიციონერი დეპუტატები „დადგნენ გარეთ და გამოხატონ პროტესტი“.

პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ არსად მიდის. მისივე შეფასებით, საკონსტიტუციო სასამართლოს ამ გადაწყვეტილებით „საქართველოს ევროპული მომავალი ერთი ქვით მოკლეს“.

სალომე ზურაბიშვილმა აღნიშნა, რომ „დუმილისა და „ქართული ოცნების“ დრო დამთავრდა“.

პრეზიდენტმა გასულ კვირაში მოქალაქეობა შეუწყვიტა საქართველოს ყოფილ გენპროკურორს, ოთარ ფარცხალაძეს, რომელსაც აშშ-მ სანქციები დაუწესა და რუსულ „ფსბ“-სთან კავშირში დაადანაშაულა, ასევე ვეტო დაადო კანონს „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“.

პრეზიდენტის მოწოდება „გარეთ დადგომაზე“ არ გაიზიარეს „გირჩის“ წევრებმა. პარტიის ლიდერი იაგო ხვიჩია კენჭისყრამდე აცხადებდა, რომ მიმდინარეობს გარკვეული პოლიტიკური თამაში, რომელშიც ის და მისი თანაგუნდელები არ ჩაებმებიან. ხვიჩიას აზრით, „ქართულ ოცნებას“ მოაკლდა მედასავლეთე ამომრჩევლის ხმები, რის გამოც მიმდინარეობს „ოცნების“ წიაღში პროდასავლელი ლიდერის გამოკვეთა და „ქართული ოცნების“ ყულაბაში პროდასავლური ხმების მოგროვება. „გირჩელებმა“ თქვეს, რომ იმპიჩმენტს მხარს არ უჭერენ, ამასთან თვითონ გადაწყვეტენ დარბაზში დარჩენა-არდარჩენის საკითხს.

პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი დარწმუნებულია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება არ დააზიანებს საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭების პროცესს და ამ გადაწყვეტილებას ამაზე გავლენა არ ექნება.

– რას ნიშნავს გავლენა ექნება? ეს არის ჩვენი ღირსების საკითხი. ჩვენ ვალდებული ვართ, დავიცვათ ჩვენი კონსტიტუცია და ჩვენი კანონი, – აღნიშნა პრემიერმა და დასძინა, რომ კანდიდატის სტატუსთან დაკავშირებით პოზიტიური მოლოდინები აქვს.

ღარიბაშვილმა სალომე ზურაბიშვილს პრეზიდენტობა დაუყვედრა და გაიხსენა, რომ მას „ქართული ოცნება“ უწევდა დახმარებას საპრეზიდენტო არჩევნებში:

– ჰქონდა 1%-იანი რეიტინგი, როცა ოპოზიციაში იყო. „ქართულმა ოცნებამ“ ეს ადამიანი დასვა პრეზიდენტად.

• • •

კენჭისყრა პარლამენტში და ახალი მუქარა პრეზიდენტის მიმართ

კენჭისყრა იმპიჩმენტთან დაკავშირებული დადგენილების თაობაზე 18 ოქტომბერს გაიმართა. ოპოზიციიდან, როგორც მოსალოდნელი იყო, უმრავლესობასთან ერთად იმპიჩმენტს მხარი დაუჭირეს ინჯიას „ევროპელმა სოციალისტებმა“. მხარდამჭერი აღმოჩნდა 86, 1-მა (ალეკო ელისაშვილმა) წინააღმდეგ მისცა ხმა.

ოპოზიციის უდიდესი უმრავლესობა კენჭისყრისას დარბაზში არ იმყოფებოდა. „ლელოს“ ერთ-ერთი ლიდერის, სალომე სამადაშვილის თქმით, ოპოზიცია „რუსულ შაპიტოს“ არ დაესწრო.

საიმპიჩმენტო წარდგინების ავტორმა ირაკლი კობახიძემ თავის სიტყვაში, ასევე შეკითხვებზე პასუხებისას არაერთხელ აღნიშნა სალომე ზურაბიშვილის ალიანსი „კოლექტიურ ნაცმოძრაობასთან“.

მისი აზრით, პრეზიდენტი კონსტიტუციას არღვევდა იმ იმედით, რომ მის იმპიჩმენტს მხარს არ დაუჭერდა „კოლექტიური ნაციონალური მოძრაობა“. კობახიძის შეფასებით, უკეთესი „კარტინკის“ მისაღებად სალომე ზურაბიშვილმა ოპოზიციას „გარეთ დადგომისკენ“ მოუწოდა.

„ოცნების“ თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ სალომე ზურაბიშვილი, ნაცმოძრაობის მსგავსად, ხელს უშლიდა საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებას.

მმართველი პარტიის ლიდერმა დაასკვნა, რომ ამ პროცესით მოხდა კონსტიტუციის დარღვევის დაფიქირება და ლუსტრაცია იმისა, თუ რა კავშირი აქვს სალომე ზურაბიშვილს ნაცმოძრაობასთან.

ირაკლი კობახიძე პრეზიდენტს პროკურატურით დაემუქრა და აღნიშნა, რომ მის მიმართ შესაძლებელია სისხლის სამართლის საქმის წამოწყება, თუ უნებართო ვიზიტებს არ მოიშლის.

პრეზიდენტმა თავის გამოსვლაში თქვა, რომ ევროინტეგრაციული მიზნებისთვის ბევრი რამ გააკეთა. მან ოპონენტებს მოუწოდა, თუ მისი არ სჯერათ, ევროკავშირის წევრი ქვეყნების ლიდერებს დაეკითხონ.

• • •

„მაუწყებლობის შესახებ“ კანონში ცვლილებები დავას იწვევს

ცვლილებებს, რომლის მიღება იგეგმება „მაუწყებლობის შესახებ“ კანონში, ხელისუფლების ოპონენტები ანტიდემოკრატიულად და რეპრესიულად აღიქვამენ.

ამ.პროექტით, მაუწყებელს, თუ მან დაარღვია სიძულვილისა და ტერორიზმისკენ მოწოდების გავრცელების აკრძალვის მოთხოვნა, პირველ ჯერზე გააფრთხილებენ, განმეორებითი დარღვევა გამოიწვევს ჯარიმის გადახდას. მესამე დარღვევა უფრო სოლიდური ჯარიმის გადახდას გულისხმობს. მოქმედი კანონით ეს საკითხები თვითრეგულირების მექანიზმით წყდებოდა. ახალი პროექტით, დაინტერესებულ მხარეს შეუძლია მიღებული გადაწყვეტილება კომისიაში გაასაჩივროს. კომისია შესაბამის ზომებს დაადგენს.

არსებობს აზრი, რომ ამ ცვლილების გატანა დააზიანებს საქართველოს ევროპულ მომავალს.

„ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე აცხადებს, რომ ამ კანონის მიღება ევროკომისიის დავალებაა. მისი თქმით, შემუშავდა სამი ვარიანტი, რომელიც ევროკომისიას გაეგზავნა.

„ლიბერალური აკადემია-თბილისის“ აღმასრულებელი დირექტორი ლაშა ტუღუში აღნიშნავს, რომ ევროკომისიას სხვა მოთხოვნები აქვს.

• • •

სუსის ხელმძღვანელი ხოშტარია-ჯაფარიძის პროექტის წინააღმდეგ

როგორც ცნობილია, პარტიებმა „დრო“ და „გირჩი – მეტი თავისუფლებისათვის“ წამოიწყეს პროექტი „მონა ჯი“. ელენე ხოშტარიასა და ზურაბ ჯაფარიძის პარტიებმა გამოაცხადეს, რომ „ინიციატივის მიზანია „არსებული რუსული რეჟიმის მონურ მორჩილებასა და სამსახურში მყოფთა მხილება“.

ინიციატორებმა რამდენიმე უწყების წარმომადგენელთა გვარები უკვე გამოაქვეყნეს. ამ საკითხზე გასულ კვირას პარლამენტში კომენტარი გააკეთა სუსის ხელმღვანელმა გრიგოლ ლილუაშვილმა.

სუსის ხელმძღვანელმა ამ პროექტს „უღირსი“ უწოდა და მხარი დაუჭირა იმ ადამიანებს, რომელთა გვარები „მონა ჯი“-ზე მოხვდა. მისი შეფასებით, ამ პირებს არანაირი დანაშაული არ ჩაუდენიათ და მათ „დრო“ და „გირჩი მეტი თავისუფლებისათვის“ აბულინგებენ.

სამართალი

იარაღის უკანონოდ ტარების ბრალდებით ბიზნესმენი გიჩო მარგველაშვილი დააკავეს



„მთავარი არხის“ ინფორმაციით, ორი დღის წინ იარაღის უკანონოდ ტარების ბრალდებით ბიზნესმენი გიჩო მარგველაშვილი და კიდევ ერთი პირი, კობა პაიჭაძე, დააკავეს.

როგორც შსს-მ განაცხადა, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ჯგუფურად ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებას გულისხმობს.

შეგახსენებთ, რომ გიჩო მარგველაშვილი 2023 წლის 4 მაისს, ვერაზე, გოგებაშვილის ქუჩაზე საბა გახოკიამ დაჭრა, მარგველაშვილის დაცვამ, კახაბერ კამლაძემ კი თავდამსხმელს ესროლა, რასაც გახოკიას სიცოცხლე ემსხვერპლა. კამლაძე სამართალდამცავებმა განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

დამ დას სცემა — ოჯახური კონფლიქტი რუსთავში

რუსთავში, მე-6 მიკრორაიონში დამ დას სცემა.

„ინფო რუსთავის“ ინფორმაციით, 22 წლის გოგონასა და მის 20 წლის დას შორის დაწყებული სიტყვიერი კამათი, შეხლა-შემოხლაში გადაიზარდა, რა დროსაც უფროსი და უმცროსს ფიზიკურად გაუსწორდა.

შემთხვევა საცხოვრებელ ბინაში მოხდა. მისამართზე მობილიზებული იყო კრიმინალური პოლიცია.

სამართალდამცავებმა ახალგაზრდა ქალი ადგილზე დააკავეს.

მომხდარზე დაწყებულია გამოძიება.

აღსანიშნავია, რომ დაკავებული ამავე ბრალდებით წარსულშიც ნასამართლევია.

ბერია ყველა თავის მტერს ყვარყვარეს ეძახდა

როგორ გადაურჩა დახვრეტას პოლიკარპე კაკაბაძე

„ყვარყვარე თუთაბერის“ ყოველი პრემიერიდან მაყურებელი იმ ფიქრით გამოდის, რომ პიესა სწორედ დღევანდელ დღეზე, მის ცხოვრებაზეა დაწერილი.

როგორ მიიღო პიესა ჩეკამ და ბოლშევიკებმა. ინტერვიუ პოლიკარპე კაკაბაძის ქალიშვილთან, მანანა კაკაბაძესთან, რომელიც ჟურნალ „გუმბათში“ გამოქვეყნდა.

მანანა კაკაბაძე:

– მამა თავიდან ლექსებს წერდა. 1912 წელს მან ნამდვილ მოწოდებას მიაგნო და დრამატურგიაში დაიწყო მოღვაწეობა. დააარსა ორი ჟურნალი „შვიდი მნათობი“ და „მნათობი“. 1919 წელს ჟურნალი „შვიდი მნათობის“ პირველი ნომერი გამოვიდა. ის იყო 400 გვერდიანი ჟურნალი. მეორე ნომერი 500 გვერდიანი იყო. ამ ჟურნალში იწერებოდა კრიტიკა. მან ლენინი და მისი ნაშრომები გააკრიტიკა. მამა კრიტიკას ფსევდონიმით წერდა. ჟურნალი ალექსანდრე ცაგარელმა დააფინანსა, ხოლო მხატვრულად დავით კაკაბაძემ გააფორმა.

– როდიდან დაიწყო მამათქვენის დევნა?

– საქართველოში როცა ბოლშევიკები შემოვიდნენ, მაშინვე დაიწყეს პოლიკარპე კაკაბაძის დევნა. მამა თბილისში შემოსულ ბოლშევიკებს არ მიგებებია. ბევრი მისი მეგობარი ბოლშევიკი იყო, მაგრამ მათ იდეოლოგიას მაინც არ იზიარებდა. იმ დროს მამა და გალაკტიონ ტაბიძე ერთად ცხოვრობდნენ, მამას დაქირავებული ჰქონდა ბინა, გალაკტიონს და მის პირველ მეუღლე ოლია ოკუჯავას ბინა არ ჰქონდათ, ამიტომ მამაჩემთან ერთად ცხოვრობდნენ. თბილისში შემოსულ ბოლშევიკებს გალაკტიონი მიეგება, მას ეგონა, ბოლშევიკები კარგს გააკეთებდნენ ქვეყნისთვის. ასე ბევრი მწერალი მოიქცა. მაგალითად: პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე. მამას მათი ქება-დიდების არცერთი წერილი არ დაუწერია, ამიტომ ყოველთვის მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ იყო. 1923 წელს მამას მოაკითხეს და სთხოვეს, რომ აღედგინა ჟურნალი „შვიდი მნათობი“. მამა ამაზე დათანხმდა. ჟურნალ „შვიდ მნათობს“ მოაშორეს „შვიდი“, ჟურნალის გერბი „წმინდა გიორგი და შვიდი მნათობი“, კომუნისტების იდეოლოგიაში არ ჯდებოდა, ამიტომ ჟურნალს ეწოდა „მნათობი“.

– ჟურნალი „მნათობი“ XIX საუკუნეშიც ხომ გამოდიოდა, როგორც ხალხსნური ორგანო?

– დიახ, მაგრამ ამ ჟურნალს არაფერი საერთო არ ჰქონდა იმ ჟურნალთან. ოფიციალურად „მნათობის“ მთავარ რედაქტორად ითვლებოდა ცეკას პირველი მდივანი. მისი სანქციით იბეჭდებოდა.

– გვარები დაგვისახელეთ.

– ესენი იყვნენ: მიხეილ კახიანი და ლავრენტი ქართველიშვილი. ისინი, როგორც რედაქტორები ისე აწერდნენ „მნათობს“ ხელს (მერე ორივე 1937 წელს დახვრიტეს). ამ ჟურნალში უნდა ყოფილიყო პოლიტიკური განყოფილებაც, ამიტომ მამამ მოიწვია თავისივე გაკომუნისტებული ამხანაგი ვალია ბახტაძე. როგორც კი ჟურნალის პირველი ნომერი გამოვიდა, დაპირისპირება მოხდა მამასა და ვალია ბახტაძეს შორის. პირველი ნომერი დაიწუნეს იდეოლოგიურად. მამას დაჭერას უპირებდნენ. ოქტომბერში მოიწვიეს კრება, ამ კრებაზე კაკაბაძე დაამუშავეს, სამსახურიდან დაითხოვეს. დაჭერას უპირებდნენ, მაგრამ მამა თბილისიდან წავიდა, გაასწრო მათ. სანამ მამა თბილისიდან გაასწრებდა, ვალია ბახტაძემ დააჭერინა თავისი მეგობარი (მამას მეგობარიც) კორნელი კაკაბაძე და დახვრიტა. მამა ვალიას მიუვარდა სახლში და უნდოდა მოეკლა. ძლივს გამოგლიჯეს ხელიდან. ვალიამ მამას უთხრა: მადლობა თქვი, რომ შენც არ დაგხვრიტეო (წლების მერე, ვალია ბახტაძე ლოგინად ჩავარდა, შვილიც მოუკვდა, მომაკვდარი სულ ხრიალებდა, ვერ საუბრობდა, მამას შემოუთვალა მნახეო, პატიება სთხოვა კორნელის უდანაშაულოდ გაწირვისთვის).

– თქვენ აღნიშნეთ, მამა თბილისიდან წავიდაო, სად შეაფარა თავი?

– მეუღლე წაიყვანა აბასთუმანში სამკურნალოდ. 1924 წელს მამამ დაწერა დრამა „ლისაბონის აჯანყება“, სადაც ნათლად აჩვენა გმირის სახე. მთავარი გმირი როგორ გარდაიქმნება რევოლუციურ ბრძოლებში სასტიკ მკვლელად. იმ დროს რევოლუციის ბევრი გმირი მკვლელად იყო გადაქცეული. მოვლენები რთულად მიმდინარეობდა, 1928 წელს კაკაბაძემ სულ სხვა ლიდერი დაინახა, სწორედ მაშინ დაიწერა „ყვარყვარე თუთაბერი“. ყვარყვარეს სახით წარმოჩენილია რევოლუციური ლიდერი, რომელიც სრული არარაობა და ნაცარქექიაა, მაგრამ ამბიციური და ეშმაკი. თითქმის ყველა ადამიანშია პატარა ყვარყვარე და არავინ იცის, როდის გაიღვიძებს იგი.

– რამდენი წლის იყო მამათქვენი, ეს პიესა როცა დაწერა?

– მაშინ მამა 35 წლის იყო.

– როგორ მიღეს კომუნისტებმა „ყვარყვარე თუთაბერი“?

– ეს პიესა კოტე მარჯანიშვილმა 1929 წლის 30 იანვარს დადგა. როდესაც პიესის პრემიერა გაიმართა, მთელი ცეკა დაესწრო, მათ შორის, ლავრენტი ბერიაც. მთელი დარბაზი ხარხარებდა, ერთმანეთს დასცინოდნენ, ერთმანეთს ეუბნებოდნენ: პოლიკარპე კაკაბაძემ ნიღაბი როგორ ჩამოგხადა, ყვარყვარე შენა ხარო. ბერია ყველა წარმოდგენას დაესწრო. მარტო იჯდა თავის ლოჟაში და გულიანად იცინოდა. თეატრიდან გასული კი ჩეკას ციხეში საშინელ წამებებს ახორციელებდა. როგორც შემდეგ მამას უთხრეს, ბერია ხალხს როცა აწამებდა, სულ იძახდა, ყვარყვარე მოვსპეო. ყველა თავის მტერს ყვარყვარეს ეძახდა.

– სპექტაკლის ნახვის შემდეგ ბერიამ არაფერი უთხრა მამათქვენს?

– არა. ბერიამ ისეთი სიამოვნება მიიღო, რომ მამა თავისთან არ დაუბარებია. საერთოდ, იმ დროს რეჟისორს სპექტაკლი რომ დაედგა, ცეკადან ნებართვა უნდა აეღო. ასე მოიქცა კოტე მარჯანიშვილიც. მან ცეკას მდივანს უთხრა: ისეთი რამე მომიტანა პოლიკარპე კაკაბაძემ, ნამდვილი კონტრრევოლუციაა, მაგრამ რომ არ დავდგა, არ შემიძლიაო. რეჟისორს ნებართვა მისცეს სპექტაკლის დადგმის. ამით ყველაფერი დადგინდა. ჩეკას თანამშრომლებმა კარგად იცოდნენ, რომ მათი სახეები იყო აღწერილი პიესაში და ხმას არ იღებდნენ, რატომღაც ძალიან მოსწონდათ.

– პრესა კრიტიკით არ გამოეხმაურა ამ სპექტაკლს?

– არ იწერებოდა მასზე წერილები. რამდენიმე ხნის მერე ერთი თუ ორი დადებითი წერილი დაიწერა. უარყოფითი რომ დაეწერათ, ავტორი განადგურდებოდა. ეს უარყოფითი კრიტიკა კი არ იქნებოდა, არამედ საბრალდებო დასკვნა, სანქცია და ბრალდება. იმ დროს კრიტიკა არ არსებობდა. თანაც კრიტიკის პასუხის გაცემის უფლება არ ჰქონდათ. პასუხს არ დაგიბეჭდავდნენ.

– 1936-37 წლებში, როცა რეპრესიებმა კულმინაციას მიაღწია, პოლიკარპე კაკაბაძე როგორ გადაურჩა დაჭერას?

– ამ რეპრესიებმა დიდი ტკივილი მოგვაყენეს. მამა გადარჩა, მაგრამ ბიძაჩემი (მამის ძმა) გადაასახლეს. დედაჩემის ძმაც დაიჭირეს და გადაასახლეს. როცა დაჭერები დაიწყო, მამა განზე გადგა. არასოდეს მოითხოვდა ქებას, დიდებას. მამაჩემი მდიდარი ოჯახის შვილი იყო, მაგრამ არ იმჩნევდა. ოროთახიან ბინაში აცხოვრებდა ცოლ-შვილს (4 შვილი ჰყავდა). რამდენჯერმე უთქვამს მამას ჩემთვის: განა მაშინ არ შემეძლო ფუფუნებაში ცხოვრება, მაგრამ ხალხს არ ავალაპარაკებდიო. საზოგადოებრივ ცხოვრებას ჩამოშორდა და მწერლობაში ჩაიკეტა, მაგრამ არ მოასვენეს. 1936 წელს მწერალთა კავშირში პიესა „ბახტრიონის“ განხილვა მოეწყო. მამამ ეს პიესა 1933-34 წლებში დაამთავრა. ოპერაში დაიდგა, მუსიკაც დაწერა გრიშა კალაძემ. გენერალური რეპეტიცია როცა წავიდა, ოპერიდან სპექტაკლი მოხსნეს, როგორც „ნაციონალისტური“ სულისკვეთების გამომხატველი ნაწარმოები. მწერალთა კავშირში ოქმი გამზადებული იყო. განხილვა მიზნად ისახავდა მამაჩემის დამუშავებას, რომლის შედეგად უნდა მომხდარიყო მისი „ხალხის მტრად“ გამოცხადება და ლიკვიდაცია. სიკვდილის შიში აიძულებდა ბევრ პიროვნებას გაჩუმებულიყო, ან სულაც სინდისზე ხელი აეღო და აჰყოლოდა მთავრობის ნებას.

– როგორ დაიცვა თავი ამ კრებაზე მამათქვენმა?

– საერთოდ, მამა ენაკვიმატი კაცი იყო, ამიტომ საკადრისი პასუხი გასცა მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს. იმ დღეს მამამ თავი დაიცვა, მაგრამ 1937 წელს კვლავ წაუყენეს დამსმენთა ხელით შეთითხნილი ბრალდება. საქმე ეხებოდა ვითომ პოლიკარპე კაკაბაძის მიერ ლიტფონდში, გამომცემლობებში აღებულ ვალებს. ასეთი სესხებით ცხოვრობდნენ ჩვეულებრივ მწერლები, რადგან ხელფასები არ ჰქონდათ, ჰონორარი ცოტა იყო, ამიტომ აიღებდნენ ავანსს ლიტფონდიდან და მერე ჰონორარით ფარავდნენ. მამას ჰქონდა ცოტაოდენი ვალი, მაგრამ სასწრაფოდ დაფარა. მერე სათანადო დოკუმენტები წარუდგინა მისი საქმის შემსწავლელ კომისიას. ყველა გაოცდა, რადგან ისინი ასეთი სესხით და ვალებით ცხოვრობდნენ, რას წარმოიდგენდნენ, რომ გამონაკლისი იქნებოდა. იროდიონ ქავჟარაძემ მამას უთხრა: პოლიკარპე, რაღაცა მაინც დაიბრალე, ჩვენ ყველა ასე ვცხოვრობთ, როგორ შეიძლება ყველაფერში მართალი იყოო. მამამ კი უპასუხა: თქვენ შეიძლება ასე ცხოვრობთ, მაგრამ მე არაო. მწერალთა კავშირის ჩეკისტი მესვეურები ამჯერადაც დამარცხდნენ. ერთხელ მეგობარმა უთხრა, შენზე ჩეკაში იმდენი მასალა შეგროვილი, რომ იცოდე, შეგეშინდებაო. მამასაც ენაკვიმატურად უთქვამს: კარგია, რომ არის, ისტორიას შეენახებაო. რეპრესია და დახვრეტა ყოველდღე იყო მოსალოდნელი, მაგრამ განა გაჩერება და დამორჩილება უშველიდა? საერთოდ, ბრძოლაში ვინც შეშინდება და გაჩერდება, მას უმალ კლავენ. „გალიაში ქათამი და არწივი ერთია“, – წერდა პოლიკარპე კაკაბაძე.

1937 წელს მამა დაჭერას და დახვრეტას გადაურჩა, მაგრამ მთელი ცხოვრება იდევნებოდა და მასზე ზეწოლა ხორციელდებოდა. მამას ყველაზე დიდი მტერი მწერალთა კავშირის თავმჯდომარე იყო, რომელმაც არაერთი მწერალი ჩააგდო ჯალათის ხელში და სასიკვდილოდ გაიმეტა.

– რატომ არ გინდათ ამ ადამიანის სახელი და გვარი დაასახელოთ. თითქმის მის შესახებ ყველამ ვიცით.

– არ მინდა ხმამაღლა ვთქვა ამ კაცის შესახებ, რადგან მას ოჯახი დარჩა და ლამაზი არ არის გარდაცვლილის აუგად ხსენება. ამ პიროვნებამ მამას არაერთი პროვოკაცია მოუწყო, არაერთხელ სცადა მისი თავიდან მოშორება, მაგრამ ამაოდ. ისტორიამ შემოინახა ყველა ფაქტი და მოვლენა, ამიტომ ხმამაღლა გვარების დასახელება აღარ არის საჭირო.

ნიკოლოზ შენგელაიას 120 წლის იუბილეს ქუთაისი უმასპინძლებს

რეჟისორ ნიკოლოზ შენგელაიას 120 წლის იუბილე ქუთაისში აღინიშნება.

23 ოქტომბერს ქუთაისის მოკლემეტრაჟიანი ფილმების საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში რეჟისორის ფილმის „ელისო“ ჩვენება გაიმართება.

ფილმის ნახვა დაინტერესებულ მაყურებელს კინოთეატრ „საქართველოში“ შეუძლია.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

მედიცინა

ლიმონი და ცხელი პირსახოცი თავის ტკივილის წინააღმდეგ

ნერვული დაძაბულობის მკურნალობა ხალხური რეცეპტებით

– თუ თავის ტკივილი გაგიჭიანურდათ, 3-4 კვირის განმავლობაში, ყოველი ჭამის წინ ნახევარი საათით ადრე, სვით 2 სუფრის კოვზი კარტოფილის ახალ-ახალი წვენი.

❖ ❖ ❖

– 1 სუფრის კოვზ მრავალძარღვას დაასხით 1 ჭიქა მდუღარე წყალი, დადგით 10-12 წუთით და ნახევარ-ნახევარი ჩაის ჭიქა სვით დღეში ორჯერ.

❖ ❖ ❖

– გააკეთეთ საფეთქლის არის საკმაოდ მძლავრი მასაჟი. წრიული მოძრაობებით დაიზილეთ საფეთქლები მანამ, სანამ ტკივილის შემსუბუქებას არ იგრძნობთ.

❖ ❖ ❖

– ქსოვილის ნაჭერი, დაახლოებით 30X30 სანტიმეტრის ზომის (შეიძლება ცხირსახოცის გამოყენებაც), მოკეცეთ ოთხჯერ, დაასველეთ ცივი წყლით, მსუბუქად გაწურეთ და დაიდეთ კეფაზე. ყოველ 3-4 წუთში ქსოვილი კვლავ დაასველეთ და დაადეთ ძველ ადგილზე. თუ თავის ტკივილმა არ გაგიარათ, ცივი წყალი შეცვალეთ თბილით. ეს პროცედურა გვშველის, თუ თავის ტკივილი გამოწვეულია ტვინის სისხლძარღვების არანორმალური მდგომარეობით. შევიწროებულია ისინი თუ უზომოდ გაფართოებული, ამის დადგენა ტკივილის ხასიათის მიხედვით ძნელია, ამიტომ შეუძლებელია მაშინვე ითქვას, როგორი წყალია საჭირო – თბილი თუ ცივი.

❖ ❖ ❖

– შეიხვიეთ ცხელი პირსახოცით თავი საფეთქლებთან ერთად, ამასთან, შუბლსა და საფეთქლებზე დაიდეთ ახალი ლიმნის ნაჭრები.

❖ ❖ ❖

– 20 გ კატაბალახას ფესვებს დაასხით 1 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი, დააფარეთ ხუფი და 15 წუთი გააცხელეთ წყლის აბაზანაში. შემდეგ 45 წუთის განმავლობაში გააგრილეთ და გაწურეთ (მოცულობა დაიყვანეთ 200 გ-მდე). უნდა მიიღოთ 2-3 კოვზი ჭამიდან 30 წუთის შემდეგ თავის ტკივილისა და შაკიკის დროს.

– ფინჯანში, ან თეფშზე მოათავსეთ ახალი კვერცხის ცილა, დაუმატეთ ცოტა ვარდის წყალი, ზაფრანა და ყველაფერი ეს კარგად ათქვიფეთ. შემდეგ აიღეთ 2 ნაჭერი თავთა (ქსოვილი). მუქი ჟოლოსფერი, საკუთარი შუბლის სიგანე. თუ ჟოლოსფერს ვერ იშოვით, იყოს წითელი. ჩაალბეთ თქვენ მიერ მომზადებულ ხსნარში და 1 ნაჭერი დაიდეთ შუბლზე. როდესაც ის თითქმის გაშრება, დააბრუნეთ ხსნარში და დაიდეთ მეორე ნაჭერი. ასე იცვალეთ ისინი 3-4-ჯერ, რის შემდეგაც თავის ტკივილი აუცილებლად გაივლის.

❖ ❖ ❖

– შეიხვიეთ ცხელი პირსახოცით თავი საფეთქლებთან ერთად, ამასთან, შუბლსა და საფეთქლებზე დაიდეთ ახალი ლიმნის ნაჭრები.

❖ ❖ ❖

– დალიეთ რაც შეიძლება მეტი წყალი ან უალკოჰოლო სასმელი.

❖ ❖ ❖

– დაიზილეთ შუბლი და საფეთქლები ახალი ბოლოკის წვენით (შეიძლება ბოლოკი შეიცვალოს ხახვით და ნიგვზით).

– თავის ტკივილი შეიძლება სწრაფად მოიხსნათ ცერა თითების დახმარებით ჩატარებული ენერგეტიკული მასაჟით. თავიდან საჭიროა 2-3 წუთის განმავლობაში ენერგიულად ამოძრაოთ ხელის ცერა თითები, შემდეგ კი გულმოდგინედ დაზილოთ ისინი, განსაკუთრებით ფალანგების მიდამოში.

– თავის ტკივილი მოგეშვებათ, ან საგრძნობლად დაგიკლებთ, თუ შუბლს ფანჯრის მინას მიაყრდნობთ – ამ დროს ხდება ნეიტრალიზება კანზე დაგროვილი მუხტებისა, რომლებიც მტკივნეულ შეგრძნებას იწვევენ.

❖ ❖ ❖

– დარიჩინის ჩ/კ-ის 1/8 ნაწილს დაასხით 1 სუფრის კოვზი ცხელი წყალი. დააყოვნეთ ნახევარ საათს. მიიღეთ 2 ყლუპი 1 საათის შემდეგ. ძლიერი თავის ტკივილის დროს დაამზადეთ დარიჩინის უფრო კონცენტრირებული ნაყენი.

ამასთან, გაიკეთეთ თავზე დარიჩინის საფენები. თუ გაღიზიანებთ დარიჩინის სუნი, დაამატეთ ნაყენს ვარდის, პიტნის ან ლავანდის ზეთი.

თუ დარიჩინის სუნი მოგწონთ და დარიჩინიც ბევრი გაქვთ, მაშინ შეაზილეთ იგი კარაქს და დაიფინეთ ეს კრემი შუბლზე, საფეთქლებზე. წინასწარ თბილი წყლით დაიბანეთ შუბლი და საფეთქლები, ფორებში კრემის უფრო ძლიერი ჩაზელვისთვის.

❖ ❖ ❖

– გააკეთეთ კარგი ნაყენი მწვანე ან შავი ჩაისგან, დაუმატეთ პიტნა. მიიღეთ ასეთი ჩაის 1 ფინჯანი, 15-20 წუთის შემდეგ თავისი ტკივილი გაგივლით.

❖ ❖ ❖

– 2-3 ლიტრ წყალში მოვადუღოთ ალოეს 1-2 ფოთოლი. მიღებული ნაყენით დავიბანოთ თავი.

❖ ❖ ❖

– ავიღოთ კოწახური, დავალბოთ წყალში 1 ღამე და იმის წვენი დავლირთ, თავისა და საფეთქლების ტკივილი გაგივლით.

ბაიდენმა ამერიკელ ხალხს მიმართა



აშშ-ის პრეზიდენტმა ბაიდენმა ამერიკელ ხალხს მიმართა. მისმა სიტყვამ მსოფლიო რეზონანსი გამოიწვია.

ბაიდენმა დეტალურად მიმოიხილა არსებული საერთაშორისო ვითარება. მან თქვა, რომ ის, რაც უკრაინასა და ახლო აღმოსავლეთში ხდება, შემთხვევითი არაა. ეს კარგად ორგანიზებული, დაფინასებული შეთქმულების ჯაჭვია, რომელიც წლების განმავლობაში მზადდებოდა.

აშშ-ის პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ უკრაინა და ისრაელი ეს ის ქვეყნებია, რომლებმაც აგრესორთა დარტყმა იწვნიეს. ეს დარტყმა რუსეთის გენშტაბში მომზადდა. მისი მიზანი კი არსებული დემოკატიული მსოფლიო წესრიგის დასამარებაა.

აშშ-ის პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ ვაშინგტონს არ შეუძლია ზურგი შეაქციოს უკრაინასა და ისრაელს. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ამერიკელმა ჯარისკაცმა უკრაინაში უნდა იბრძოლოს.

აშშ-ის პრეზიდენტმა ისიც აღნიშნა, რომ უკრაინელ და ებრაელ ხალხებს დახმარება ესაჭიროებათ. ეს ფინასური დახმარება უნდა იყოს. ამერიკელი ხალხი უბრალოდ მოვალეა, რომ უკრაინელებსა და ებრაელებს დახმარების ხელი გაუწოდოს.

ბაიდენის განაცხადებით, უკრაინას 60 მილიარდს გამოუყოფენ, ისრაელს – 10 მილიარდს.

აშშ-ის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ მომხდარში რუსეთია დამნაშავე. ჰამასი მოსკოვის დახმარების გარეშე ვერაფერს გაბედავდა. უკრაინაში ომის გაჩაღება და უკრაინის ქალაქების დაბომბვაც რუსეთის კისერზეა.

დამნაშავე შეეცადა წარწერით „მეც აქ არ ვარ“, პოლიცია მოეტყუებინა



აშშ-ში ძებნილი დამნაშავე შეეცადა, პოლიციის თანამშრომლები დაფაზე დაწერილი ფრაზით მოეტყუებინა.

ფლორიდის შტატის სამართალდამცავები 41 წლის ჯონი იეიტს სხეულზე დაზიანებების მიყენების, უკანონოდ თავისუფლების აღკვეთისა და სხვა დანაშაულების ჩადენისთვის ეძებდნენ. როდესაც ისინი ქალაქ ლეიკლენდში მის სახლში მივიდნენ, აღმოაჩინეს, რომ ფანჯარაში გამოდგმული იყო დაფა წარწერით: „ჯონი იეიტსი აქ არ ცხოვრობს“!!!

პოლიციელებმა გადაწყვიტეს, ნაწერისთვის არ დაეჯერებინათ. მათ სახლიდან გამოსული პიროვნება გააჩერეს, რომელმაც დაუდასტურა, რომ დამნაშავე შენობაში იმყოფებოდა. მაშინ სახლი ალყაში მოაქციეს და იეიტს დანებებისკენ მოუწოდეს. მათ მოთხოვნას არავინ უპასუხა და მაშინ პოლიციელებმა შიგნით ბოლის შეშვება და დამნაშავის ასე გამოდევნა სცადეს. ამის შემდეგ სახლიდან კიდევ ოთხი ადამიანი გამოვიდა, მხოლოდ არა იეიტსი.

ამის შემდეგ პოლიციელები შიგნით ძაღლით შევიდნენ და კომოდში დამალულ დამნაშავეს სწრაფად მიაგნეს. ის საგანგებოდ სამალავად იყო გადაკეთებული. საბოლოო ჯამში სამართალდამცავებმა დააპატიმრეს თავად იეიტსი და სახლიდან ადრე გამოსული მისი ოთხი ნაცნობი, ვინაიდან მათ სამართალდამცავებთან თანამშრომლობაზე უარი განაცხადეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

რუსეთ-უკრაინის ფრონტზე ცვლილებები არ არის

რუსებმა კვლავ სცადეს, განეხორციელებინათ შეტევები კუპიანსკის მიმართულებით, მაგრამ ამაოდ. ასევე წარუმატებლად დამთავრდა სვატოვო-კრემენოეს მიმართულებით წინსვლაც.

რაც შეეხება დონეცკის ფრონტს, აქ ვითარება უცვლელია. უკრაინელებმა ახალი პოზიციები დაიკავეს ბახმუტთან. მარინკაში რუსებმა გასულ დღეს 17 შეტევა განახორციელეს, მაგრამ უკრაინელებმა ყველა მათგანი მოიგერიეს.

გასულ დღეს დონეცკის ფრონტზე ცვლილებები არ მომხდარა, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ უკრანელებმა ბახმუტთან თავიანთი ტაქტიკური მდგომარეობა ოდნავ გაიუმჯობესეს. ფრონტის სხვა უბნებზე უკრაინელი მეომრები პოზიციებს ინაჩუნებენ.

დანაკარგები რუსი ოკუპანტების რიგებში

რუსეთ-უკრაინის ომი გრძელდება. მხოლოდ გასულ დღეს ოკუპანტების რიგებში დანაკარგმა 790-ს მიაღწია. სულ ომის დაწყებიდან დღემდე რუსების რიგებში შემდეგი დანაკარგებია: ტანკები – 5063; ბრონირებული საბრძოლო მანქანები – 9.612; არტილერია – 7.017; თვითმფრინავები – 320. სულ განადგურებულია 293.830 ოკუპანტი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

კალეიდოსკოპი

მამაკაცმა, რომელიც თავს მანეკენად ასაღებდა, სავაჭრო ცენტრი გაქურდა

პოლონეთში დააპატიმრეს 22 წლის მამაკაცი, რომელმაც ვარშავის ერთ-ერთ უმსხვილესს სავაჭრო ცენტრში მანეკენი განასახიერა და შემდეგ იქ მდებარე რამდენიმე მაღაზია გაქურდა.

პოლიცია სავაჭრო ცენტრის დაცვამ გამოიძახა, როდესაც სათვალთვალო კამერებში დარბაზებში მობოდიალე ახალგაზრდა მამაკაცი შენიშნა. გაირკვა, რომ დახურვისას ის ერთ-ერთი ვიტრინის წინ ჩანთით ხელში გაქვავდა, თითქოსდა მანეკენი იყო და მომხმარებლების და გამყიდველების წასვლას დაელოდა.

როდესაც სავაჭრო დარბაზები დაცარიელდა, ის საიუველირო დახლთან მივიდა და მისი ვიტრინიდან სამკაულები ამოიღო. შემდეგ ბარში შევიდა და დანაყრდა, ამის შემდეგ ის შენობაში ბოდიალს მოჰყვა და შენიშნა, რომ ტანსაცმლის მაღაზიის ჟალუზები ბოლომდე არ იყო ჩამოშვებული და დაკეტილი. მამაკაცი შიგნით შეძვრა და ახალ ტანსაცმელში გამოეწყო. სწორედ ამ დროს შენიშნეს ის სათვალთვალო კამერებით.

ამის შემდეგ ის კვლავ ბარისკენ გაემართა. სწორედ იქ გაკოჭეს მამაკაცი დაცვის თანამშრომლებმა და ადგილზე მისულ პოლიციელებს გადასცეს. გაირკვა, რომ მას ასევე ერთ-ერთი მაღაზიის სალაროს გამოცარიელებაც მოესწრო. ის ამ დროისთვის სამი თვის ვადითაა დაკავებული, ხოლო მისი საქმის სასამართლო განხილვის შემდეგ, მას 10 წლამდე პატიმრობა ემუქრება.

ოჯახის ბინის კედელზე დაკიდებული ნახატი ვან დეიკის უცნობი ნამუშევარი გამოდგა

ესპანეთში ოჯახმა აღმოაჩინა, რომ ნახატი, რომელიც მათ მრავალი წლის განმავლობაში ეკუთვნოდათ, მე-17 საუკუნის ლეგენდარული ფლამანდრიელი მხატვრის, ანტონიუს ვან დეიკის ნამუშევარი იყო.

ნახატი „ჩვილი იესოს წარდგენა წმინდა ბარბარესთვის“ ანდალუსიის ქალაქ ხაენში მცხოვრები ოჯახის ბინის სასტუმრო ოთახის კედელზე ეკიდა. ეს ნახატი რომ შესაძლოა ვან დეიკის ნამუშევარი ყოფილიყო, ოჯახმა 2022 წელს შეიტყო. მოგვიანებით მადრიდელმა ექსპერტებმა მისი ნამდვილობა დაადასტურეს. მათ ასევე განაცხადეს, რომ ამ სურათის ფასი შესაძლოა, ათეულობით მილიონ ევროს შეადგენდეს.

აღსანიშნავია, რომ ვან დეიკის ადრინდელი ნამუშევარი დიდ ბრიტანეთში აუქციონზე 8,5 მილიონ ფუნტ სტერლინგად გაიყიდა.

ნახატის მფლობელები ფიქრობენ, რომ ის პირენეის ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილში სევილიის გავლით მოხვდა, ვინაიდან მათი წინაპრები მე-17 საუკუნეში სწორედ იქ ცხოვრობდნენ. იმ დროს მრავალი ფლამანდრიელი ოჯახი გადასახლდა ბელგიიდან ესპანეთის სამხრეთ ნაწილში.

მძღოლი ავარიაში მოჩვენების გამო მოყვა

ახალი ზელანდიის ქალაქ დანიდინში, გზიდან გადავარდნილმა მძღოლმა პოლიციელებს განუცხადა, რომ ეს მას მოჩვენების გამო შეემთხვა.

ავტომობილის საჭეს 24 წლის მამაკაცი მართავდა. მისი მტკიცებით, ის ავარიაში მოჩვენების მიზეზით მოყვა, რომელიც გზის პირას იმყოფებოდა და მას ხელს უქნევდა. მის დანახვაზე მძღოლი პანიკამ მოიცვა, მანქანა უკანასვლით წაიყვანა და გზიდან გადავიდა, უკან დაბრუნება კი დამოუკიდებლად ვეღარ შეძლო.

პოლიციაში ეჭვობენ, რომ აქ პარანორმალური შემთხვევა არაფერ შუაშია. სავარაუდოდ, მძღოლს სასმელი მეტი მოუვიდა და გზის პირას მდგომი ფეხით მოსიარულე მოჩვენებად ჩათვალა. მძღოლი შესამოწმებლად ექსპერტიზაზე გადაიყვანეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

შედეგები

21 ოქტომბერი
ფეხბურთი

ინგლისი. ჰემპიონიგა

ლივერპული-ევერტონი	2:0
ბორნმუთი-ვულვზი	1:2
ბრენტფორდი-ბარნლი	3:0
სიტი-ბრაიტონი	2:1
ნოტინგემი-ლუთონი	2:2
ნიუკასლი-კრ.პალასი	4:0
ჩელსი-არსენალი	2:2
შეფილდი-მანჩესტერი	1:2

ინგლისი. ჩემპიონიგა

პრესტონი-მილუოლი	1:1
ბლექბერნი-კარდიფი	1:0
ბრისტოლი-ქოვენთრი	1:0
ვესტ ბრომვიჩი-პლიმუთი	0:0
მიდლსბრო-ბირმინგემი	1:0
ნორვიჩი-ლიდსი	2:3
სტოკი-სანდერლენდი	2:1
სუონსი-ლესტერი	1:3
უოტფორდი-უენსდი	1:0
ჰადერსფილდი-ქარ	2:1
ჰალი-საუთჰემპტონი	1:2

გერმანია. ბუნდესლიგა

ვოლფსბურგი-ლევერკუზენი	1:2
დარმშტადი-ლაიფციგი	1:3
უნიონი-შტუტგარტი	0:3
ფრაიბურგი-ბოხუმი	2:1
ჰოფენჰაიმი-აინტრახტი	1:3
მაინცი-ბაიერნი	1:3

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ჰამბურგი-ფიურტი	2:0
ოსნაბრიუკი-ვისბადენი	0:2
პადერბორნი-ზ.პაული	2:2
ფორტუნა-კაიზერი	4:3

ესპანეთი. ჰიმეჩა დივიზიონი

სოსიედადი-მალიორკა	1:0
ხეტაფე-ბეტისი	1:1
სევილია-რეალი	1:1
სელტა-ატლეტიკო	0:3

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ამორებიეტა-ოვიედო	0:0
ვილირეალი ბ-მირანდესი	0:3
ტენერიფე-ლევანტე	0:0
სარაგოსა-ეიბარი	2:3

იტალია. სერია ა

ვერონა-ნაპოლი	1:3

ნაპოლის მეორე და მესამე გოლი ხვიჩა კვარაცხელიამ გაიტანა

ტორინო-ინტერი	0:3
სასუოლო-ლაციო	0:2

იტალია. სერია ბ

ბარი-მოდენა	1:1
კრემონეზე-ზიუდტიროლი	0:1
ლეკო-ასკოლი	0:2
პიზა-ჩეტადელა	2:1
ტერნანა-ბრეშა	0:1
კატანძარო-ფერალპისალო	3:0

საფრანგეთი. ლიგა 1

პსჟ-სტრასბური	3:0
ნიცა-მარსელი	1:0

საფრანგეთი. ლიგა 2

კაენი-ოსერი	1:1
ანჟე-ბორდო	2:0
ანსი-ამიენი	1:1
აიაჩო-პო	2:0
გენგამი-კევიი	2:2
გრენობლი-ვალანსიენი	3:3
დიუნკერკი-პარიზი	1:3
როდეზი-ბასტია	1:1
ტრუა-კონკარნო	0:0

ნიდერლანდები. ეროვნული დივიზიონი

პსვ-სიტარდი	3:1
ვალვაიკი-ვოლენდამი	2:1
ნაიმეგენი-ალმერე	1:1
ალკმაარი-ჰერენვენი	3:0
ფეინოორდი-ვიტესი	4:0

ბელგია. ა დივიზიონი

კორტრაიკი-ბრიუგე	1:0
მოლენბეკი-ვესტერლო	1:1
შარლერუა-ანტვერპენი	3:2

თურქეთი. სუპერლიგა

ქაისერი-რიზე	3:1
გაზიანთები-ანთალია	1:0
ქონია-პენდიკი	1:2
გალათასარაი-ბეშიქთაში	2:1

ავსტრია. ბუნდესლიგა

ლინცი-ლუშტენაუ	0:0
ზალცბურგი-ლინცერი	0:1
შტურმი-ჰარტბერგი	2:1

შოტლანდია. ჰემპიერლიგა

კილმარნოკი-ლივინგსტონი	3:1
რეინჯერსი-ჰიბერნიანი	4:0

გაგრძელება მე-7 გვერდზე

განცხადებები

● ოპერაციის გარეშე!!! საგვარეულო მცენარეული ნაკრების სიროფი: 1. „პლანტა“ – ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზური, აუტოიმუნურიც); 2. „პლანტა-გლანდა“ – ჩირქოვანი გლანდები, ადენოიდები, ხვრინვა; 3. „პლანტა+“ – მასტოპათია (კვანძები), ფიბროადენომატოზული საშვილოსნო, მომატებული პროლაქტინი, უნაყოფობა. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577-52-88-41.

● ფიტნეს ყავა!!! გასახდომი ყავა სამმაგი ეფექტით!!! აჩქარებს დაქვეითებულ მეტაბოლიზმს, აწესრიგებს პროლაქტინს! 1 ქილა – 1 თვის სამყოფი, გამდიდრებული ნალექიანი ყავა – 30 ლარი. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577-52-88-41.

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

გიორგი ჩაკვეტაძე: საქართველოს ნაკრებისთვის უმთავრესი მატჩები მარტშია

საქართველოს ნაკრების ბოლო მატჩებში სხვა გიორგი ჩაკვეტაძე ვიხილეთ. უფრო სწორად, ისეთი, როგორიც იყო და გვეიმედებოდა. მერე იყო რთული პერიოდი, ტრავმები, სათამაშო პრაქტიკის არქონა. „ჩაკვეს“ ძალიან დაეხმარა უოტფორდი, სადაც პრაქტიკაც მიიღო და თავდაჯერებულობაც...

ქართველი ფეხბურთელის ინტერვიუ ინგლისური კლუბის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

– გიორგი ჩაკვეტაძეს ძალიან სურს, შეფილდ უენსდეის წინააღმდეგ ითამაშოს. ის დაბრუნდა საქართველოს ნაკრებიდან, სადაც შთამბეჭდავი ორი კვირა გაატარა. დინამიური ნახევარმცველი ეროვნულ გუნდს ზედიზედ ორ გამარჯვებაში დაეხმარა.

24 წლის ფეხბურთელს სურს, ასეთივე შემართებით კლუბშიც ითამაშოს. ნაკრებში მშვენიერი თამაშების განხილვისას, ჩაკვეტაძემ სიხარულით აღნიშნა, რომ საკუთარი ქვეყნისთვის ისეთ ტალანტებთან ერთად თამაშობს, როგორიც არის ნაპოლის ფეხბურთელი ხვიჩა კვარაცხელია.

გიორგი ჩაკვეტაძე:

– ვითამაშეთ ორი ძალიან კარგი თამაში. დიდი ანგარიშებით დავამარცხეთ ტაილანდი (8:0) და კვიპროსი (4:0). სასიამოვნო იყო, რომ გამარჯვებებში ჩემი წვლილი შევიტანე.

ჩვენთვის უმთავრესი მატჩები მარტშია, როდესაც ერთა ლიგის ფლეიოფები უნდა ვითამაშოთ და წარმატებას მივაღწიოთ. ტურნირის ნახევარფინალში ვართ, გამარჯვების შემთხვევაში ფინალში გავალთ, რაც ევროპის ჩემპიონატის საგზურის მოპოვების შანსს მოგვცემს. ჩვენთვის მთავარია, ამ თამაშებისთვის მოვემზადოთ...

საქართველოს ნაკრებში თამაში სასიამოვნოა. ყოველთვის მიხარია იქ ყოფნა. ეროვნული გუნდი ჩემთვის ყველაფერს ნიშნავს და ყოველთვის ბედნიერი ვარ, როდესაც ნაკრებში მიწვევენ.

ჩვენ ხვიჩა კვარაცხელია გვყავს, რომელიც ძალიან კარგი ფეხბურთელია. მასთან თამაში ყოველთვის მსიამოვნებს. ვფიქრობ, ერთი-ერთზე თამაშში საუკეთესოა. ამასთან, ძალიან კარგი ადამიანია.

საქართველოში ხალხს ძალიან უყვარს ფეხბურთი. გულშემატკივრები ჩვენს ყველა თამაშს უყურებენ, უოტფორდი იქნება ეს, თუ ნაპოლი...

ნაკრების შემდეგ ახლა კლუბზე ვარ გადართული. უოტფორდში ზაფხულში მოვედი და ინგლისში გადმოსვლით ძალიან ბედნიერი ვარ. ჩემი აქ ყოფნა ოცნება იყო. აქ ყველაფერი ძალიან მომწონს – პერსონალი, ფეხბურთელები, ხალხი...

რა თქმა უნდა, ბავშვობაში სულ პრემიერლიგასა და კრისტიანუ რონალდუს ვუყურებდი. ის ჩემი კერპი იყო ჯერ კიდევ იმ პერიოდიდან, როდესაც ინგლისში თამაშობდა...

უოტფორდმა სეზონი რთულად დაიწყო, მაგრამ გუნდის მჯერა და დარწმუნებული ვარ, ვითარებას შევცვლით. კარგი შემადგენლობა გვყავს. თუ უახლოეს ტურში შეფილდ უენდეისთან მოვიგებთ (ეს მატჩი გუშინ გაიმართა და უოტფორდმა 1:0 მოიგო), მდგომარეობა ბევრად უკეთესი გახდება.

რამდენიმე მატჩის მოგება ხელიდან გავუშვით და ახლა უნდა გავიმარჯვოთ. დარწმუნებული ვარ, შევძლებთ კიდეც, რადგან კარგი ფეხბურთელები გვყავს და მათთან თამაში ძალიან მსიამოვნებს.

აქ საოცარი გულშემატკივრები არიან და „ვიკარიჯ როუდზე“ თამაში შემიყვარდა. ხალხის თანადგომა ძალიან მეხმარება და ამისთვის მათი მადლობელი ვარ.

ტოკიოს გრანდ სლემის შემადგენლობა ცნობილია

ტოკიოს გრანდ სლემი მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების შემდეგ ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ ტურნირად ითვლება, რომელიც ყოველწლიურად ტარდება. ცხადია, საქართველოს ნაკრებიც მუდმივად მონაწილეობს და წელსაც უძლიერესი შემადგენლობით ჩავა.

იაპონიის დედაქალაქს ის მოჭიდავეები ეწვევიან, რომლებიც ნოემბერში ევროპაზე იჭიდავებენ, პლუს ლუხუმ ჩხვიმიანი და გიორგი ტერაშვილი დაემატებათ.

საქართველოს ნაკრების შემადგენლობა კი, ასეთია:

კაცები: ლუხუმ ჩხვიმიანი, გიორგი სარდალაშვილი (ორივე 60კგ), ვაჟა მარგველაშვილი (66), გიორგი ტერაშვილი, ლაშა შავდათუაშვილი (ორივე 73), ტატო გრიგალაშვილი (81), ლუკა მაისურაძე, ლაშა ბექაური (ორივე 90), ილია სულამანიძე (100), გურამ თუშიშვილი, გელა ზაალიშვილი (ორივე +100).

ქალები: ეთერ ლიპარტელიანი (57), ეთერ ასკილაშვილი (63), სოფიო სომხიშვილი (+78).

შედეგები

დასაწყისი მე-6 გვერდზე

საბერძნეთი. სუპერლიგა

პანეთოლიკოსი-ვოლოსი	2:0
არისი-პანსერაიკოსი	1:0

შვეიცარია. სუპერლიგა

უში-ლოზანა	0:0
იანგ ბოიზი-ციურიხი	0:0
ბაზელი-სერვეტი	0:1

ჩეხეთი. 1 ლიგა

ზლინი-მლადა	5:9
კარვინა-ჰრადეცკრალოვე	1:0
პარდუბიცე-სიგმა	1:1
ლიბერეცი-პლზენი	3:0
სლავია-სლოვაკეკ	2:0

ჰოლანდია. ექსტრაჯლასი

პუშა-კრაკოვია	1:1
სლასკი-ლეგია	4:0
ლეხი-ლოძი	3:1

უკრაინა. პრემიერლიგა

ჩერნომორეცი-მინაი	3:0
შახტარი-ჩერკასი	3:0
ოლეკსანდრია-კოლოსი	0:1

დანია. სუპერლიგა

კოპენჰაგენი-ვეილე	2:1

შვედეთი. ალსვენსკა

დეგერფორსი-კალმარი	1:3
სირიუსი-ბრომაპოიკარნა	3:2

ნორვეგია. ელიტსერია

ბოდო-სანდერფიორდი	4:3
ბრანი-მიოლდე	3:2

მოამზადა მიხეილ ყორჟოლიანმა

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

შუქურა გავარდა, ბათუმის დინამო დამაჯერებლად ლიდერობს

გაიმართა ეროვნული ლიგის 30-ე ტური და გაირკვა, რომ ქობულეთის შუქურა დაქვეითდება. დანარჩენი ადგილებისთვის ბრძოლა ჯერ მიმდინარეობს, მაგრამ საჩემპიონო რბოლა ეფექტს ნელ-ნელა კარგავს.

დინამო (ბთ)-დილა 1:1
ბათუმი. აჭარაბეთ არენა
0:1 კოვტალიუკი (12), 1:1 ზარია (42პ)

დინამო: კვასხაძე, ჩაბრაძე, კობახიძე, ბალიჩი, ხარაბაძე, ტეიდი, მოსიაშვილი (ბიძინაშვილი 46), ზარია (ც.ფაცაცია 89), ღუდუშაური, წიტაიშვილი (თ.კაპანაძე 60), ფლამარიონი (იაკობსენი 90)

დილა: კუჩერენკო, ჩიტეიშვილი, ეტოუ, ზ.თევზაძე, სილვა, ნ.გაგნიძე, სანტოსი, გომისი, ჟან ვიქტორი (ჩაგანავა 89), გაფრინდაშვილი (სარდალიშვილი 82), კოვტალიუკი

ლიდერმა ბათუმის დინამომ ზედიზედ მეორე მატჩი ვერ მოიგო. ზღვისპირელებმა ამჯერად შინ 1:1 ითამაშა გორის დილასთან, რომელიც მეექვსე ადგილზეა. დილას ამ ტურამდე ზედიზედ სამი წაგება ჰქონდა.

დილა ბათუმში უკრაინელი მიკოლა კოვტალიუკის გოლით იგებდა. ბათუმელებმა პირველი ტაიმის ბოლოს გაათანაბრეს: საჯარიმოში ბენჟამინ ტეიდი წააქციეს და გიორგი ზარიამ პენალტი გამოიყენა – 1:1. კოვტალიუკმაც და ზარიამაც სეზონში მერვე გოლები მიითვალეს.

მეორე ტაიმის შუაში არბიტრმა ირაკლი კვირიკაშვილმა ბათუმელთა კარში პენალტი დანიშნა, მაგრამ ვარ-ზე გადამოწმების შემდეგ გააუქმა.

ჯერჯერობით, ბათუმელები ლიდერები არიან და საფრთხე არ ემუქრებათ, მით უფრო, რომ კონკურენტები ხელს უწყობენ...

დინამო (თბ)-გაგრა 0:1
თბილისი. დინამო არენა
0:1 მამაცაშვილი (32)

დინამო: ლორია, მალი (მაისურაძე 62), კალანდაძე, კობოური (ხვადაგიანი 62), კადეტე, მექვაბიშვილი, ბუშნია (ოდიშარია 46), ხარაიშვილი, სხირტლაძე, კამარა (არველაძე 77), მარუშიჩი (ოსეი 62)

გაგრა: ვორობეი, ხოსიტაშვილი, კაკუბავა (ჟორდანია 67), ჯანგიძე, კლოდინი, შონია, პაპავა, ლომთაძე (ბურჯანაძე 74), შონგა (ივანიაძე 67), მამაცაშვილი (ნემსაძე 83), მუსელიანი (ზოიძე 83)

ბოლო ტურებში ბათუმელთა დაკარგული ქულებით ვერ ხეირობს თბილისის დინამო, რომელმაც ზედიზედ მეორე მატჩი წააგო. მოქმედი ჩემპიონი ამჯერად გაგრასთან დამარცხდა – 0:1 და ლიდერს 9 ქულით ჩამორჩება.

გაგრას რაც შეეხება, მეცხრეზე რჩება, მაგრამ ქულებით მერვეადგილოსან სამტრედიას გაუთანაბრდა. გაგრამ ბოლო 4 შეხვედრაში 10 ქულა აიღო.

მატჩის ერთადერთი გოლი 32-ე წუთზე გავიდა. გაგრას მარცხენაფლანგელმა საბა მამაცაშვილმა საჯარიმოს მისადგომებიდან გაუტანა გიორგი ლორიას.

შუქურა-საბურთალო 1:2
გორი. თენგიზ ბურჯანაძე
0:1 სილაგაძე (10), 1:1 მუჯირი (42), 1:2 ნონიკაშვილი (49)

შუქურა: კულუა, აფხაზავა (ბ.ვერულიძე 20), კამლაძე, ჩაკვეტაძე, ანანიძე, ნადირაძე (ჩანქსელიანი 61), გ.ქავთარაძე (ღირდალაძე 61), ჯანელიძე, გოგოლაშვილი, ჯინჭარაძე (რობაქიძე 61), მუჯირი (ლორთქიფანიძე 70)

საბურთალო: კუპატაძე, ც.კაპანაძე (მამასახლისი 89), ჩადუნელი, ჯგერენაია, კომახიძე (ო.მამაგეიშვილი 46), შ. ნონიკაშვილი, ჯინჯოლავა, სილაგაძე (ციცქიშვილი 70), ლ.ნონიკაშვილი, ტაბატაძე (ჩამბა 70), კოხრეიძე (სიხარულიძე 46)

საბურთალოს ბოლოს 2 სექტემბერს ჰქონდა მოგებული და გამარჯვების გემო გაიხსენა. ამასთან, საბურთალოს 5 ტური გოლიც არ ჰქონდა გატანილი. გიორგი მიქაძის გაწვრთნილებმა 2:1 სძლიეს აუტსაიდერ ქობულეთის შუქურას, რომელსაც პირველად გაუძღვა გამოცდილი მწვრთნელი რევაზ ძოძუაშვილი. თუმცა, ქობულეთელებს ვერც მან უშველა და გუნდი გაისად ქვედა ლიგაში იასპარეზებს.

სწრაფი გოლი გავიდა: საბურთალოელმა ლუკა სილაგაძემ საკუთარი გუნდი საჯარიმო დარტყმით დააწინაურა. აღსანიშნავია, რომ სილაგაძემ წელს შუქურას ოთხივე მატჩში გაუტანა...

პირველი ტაიმის ბოლოს შუქურამ დავით მუჯირის გოლით გაათანაბრა; მეორე ტაიმის საწყის წუთებში კი საბურთალო მეორედ გავიდა წინ და ისევ საჯარიმო დარტყმით: ამჯერად შოთა ნონიკაშვილმა შეასრულა ზუსტად – 1:2.

საბურთალო მესამე პოზიციაზეა, შუქურა კი ელიტას დამეშვიდობა...

ტორპედო-სამტრედია 2:0
ქუთაისი. რამაზ შენგელია
1:0, 2:0 არაბიძე (34პ, 85)

ტორპედო: კლიაიჩი, ნადარაია (კარიკე 74), მონტეირო, სანდოხაძე, მჭედლიშვილი, მანჯგალაძე, გიგაური, შერგელაშვილი, ბულრიძე (ნეტო 79), არაბიძე, ფანცულაია (ქობულაძე 46)

სამტრედია: ჯარატიშვილი, ი.ახვლედიანი (დ.კირკიტაძე 72), აბულაძე, დვალიშვილი, უბილავა – ფირანაშვილი (ჩიტაიშვილი 88), ხმალაძე, თ.ახვლედიანი, ხაიბულაევი (ოდიშელიძე 79), ნაჭყებია, მიშოვი (ინჯგია 88)

გაძევება: მჭედლიშვილი (45)

ქუთაისის ტორპედომ გიორგი არაბიძის დუბლით სძლია სამტრედიას და მეოთხე ადგილზეა.

მიმდინარე სეზონში არაბიძეს 11 გოლი მოუგროვდა და საერთოდაც კარგ ფორმაშია. ტორპედოს შემტევმა პირველ ტაიმში პენალტი გაიტანა, მატჩის ბოლო წუთებზე კი შორიდან დაარტყა და მშვენიერი გოლი მიითვალა.

სხვათა შორის, ტორპედომ მთელი მეორე ტაიმი კაცნაკლულმა ჩაატარა: შესვენებამდე გიორგი მჭედლიშვილი გააძევეს.

თელავი-სამგურალი 2:1
თელავი. კავკასიონი არენა
1:0 დეზირე (27), 2:0 გუტი (31), 2:1 ხორხელი (88)

თელავი: იურჩენკო, ვ.ფაცაცია, ცნობილაძე, გუტი, მორჩილაძე, ქანთარია (ბაშელეიშვილი 89), ბეგიჩი, პარკინაშვილი, აშორტია (ჟვიძე 80), რუხაძე (გოშთელიანი 61), დეზირე (დიმიჩი 61)

სამგურალი: კუტალაძე, კიკაბიძე, პატარკაციშვილი, მაისაშვილი, კალანდარიშვილი, არტური (დარცმელია 36), სულაქველიძე (ჩიხლაძე 76), ლიმა (ნ.ხორხელი 76), კაგაიამა (ლ.ხორხელი 63), გომესი, ბალანიუკი (იკპე 63)

თელავმა ამ მოგებით მეშვიდე ადგილი გაიმყარა, სამგურალი კი მეხუთეზეა. პირველ ტაიმში მასპინძლებმა ლეგიონერების გოლებით შეიქმნეს ორბურთიანი უპირატესობა: ჯერ ჰაიტელმა ჟონელ დეზირემ გაიტანა თორნიკე მორჩილაძის პასით, მერე კი იმედა აშორტიას ჩაწოდებულ კუთხურს მოჰყვა ბრაზილიელი ტომელინ გუტის ზუსტი თავური – 2:0.

სამგურალმა მატჩის ბოლო წუთებზე მოახერხა სხვაობის შემცირება, კერძოდ, ლუკა ხორხელმა ძლიერი დარტყმით გაიტანა.

საუნინიო ცხრილი:

1. დინამო (ბთ)	30	18	10	2	68-29	64
2. დინამო (თბ)	30	16	7	7	72-43	55
3. საბურთალო	30	14	7	9	55-36	49
4. ტორპედო	30	13	9	8	38-31	48
5. სამგურალი	30	13	7	10	44-43	46
6. დილა	30	12	9	9	45-35	45
7. თელავი	30	9	7	14	29-49	34
8. სამტრედია	30	8	5	17	34-50	29
9. გაგრა	30	7	8	15	31-55	29
10. შუქურა	30	3	5	22	34-79	8

შენიშვნა: შუქურას დაკლებული აქვს 6 ქულა.

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ძვირფასი ქვების საერთო სახელწოდება ძველად საქართველოში; 2. მდინარე ამსტერდამში; 3. ტანსაცმლის და თეთრეულის კარადა; 4. ჰოლივუდის კონოვარსკვლავი ქალი; 5. ჟორჟ ბიზეს ოპერა; 8. მუნჯი კინოს კომიკოსი; 9. საქართველოს ნაკრებისა და „კოპენჰაგენის“ ფეხბურთელი; 12. ნიუ იორკში „თავისუფლების ქანდაკების“ ავტორი, ფრანგი მოქანდაკე; 13. ზღვისპირა კურორტი ყირიმში; 16. მონასელიძის სკულპტურული ანსამბლი თბილისში; 17. ქიმიური ინდიკატორი; 19. ბუბა ხოტივარის მხატვრული ფილმი; 20. სახელმწიფო დაწესებულების მოსამსახურე პირი.

თარაზულად: 6. მომავლის რწმენა; 7. პურეული მცენარე; 8. მდინარე ზუგდიდში; 10. ავსტრალიის დედაქალაქი; 11. ტოკიოს ძველი სახელწოდება; 14. კინოს ძველებური სახელწოდება; 15. თამბაქოს მწარმოებელი კუბური ფირმა; 18. ჰერმეტული კამერა წყალქვეშა სამუშაოებისათვის; 21. სველ კედელზე შესრულებული მხატვრობა; 22. გერმანიის კანცლერი; 23. რაიმეს არასრულფასოვანი შემცვლელი; 24. შეზღუდული გონებისა და ფარისევლური ქცევის ადამიანი.

შეაადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ფაკირი; 2. არგო; 3. ალარმისტი; 4. ურანი; 5. ლაუდერი; 8. უშგული; 9. ზინგშპილი; 12. იუმორი; 14. კურტუა; 16. ოკაცე.

თარაზულად: 1. ფუმიგაცია; 6. ალეგორია; 7. კონუნგი; 9. ზღარბი; 10. ბიზე; 11. პულმანი; 13. ტოკაი; 15. სულიკო; 17. ჯიბგირი; 18. ხორავა; 19. ყურუში; 20. ჰელიოსი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. კურტაჟი; 2. თუშმალი; 3. ნიველირი; 4. სიგალი; 5. შლიმანი; 8. პაუპერი; 9. მარჩვიბი; 12. აბაკელია; 13. პლატინა; 16. სხვიტორი; 17. მარაზმი; 19. აკაცია; 20. შუქურა.

თარაზულად: 6. ბურდუხანი; 7. ჰიმალაი; 8. პრერია; 10. იავნანა; 11. დაბა; 15. ჟანდარმი; 14. ბილტმორი; 18. ახმეტა; 21. კონკური; 22. ხუნდი; 23. ალმასი; 24. ვირსალაძე.

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

23 ოქტომბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.6958

ევრო — 2.8540

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.2689

100 რუსული რუბლი — 2.8126

ამინდის პროგნოზი 23 ოქტომბრისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

არტეტა: „ჩელსის წინააღმდეგ არსენალმა ხასიათი აჩვენა“



არსენალმა სტუმრად ჩელსისთან ფრე ითამაშა და არტეტას გუნდი 0:2-ს აგებდა, თუმცა, მათ გამოავლინეს ხასიათი და საბოლოოდ მატჩი ფრედ დასრულდა. შეხვედრის შემდეგ არტეტამ თავისი გუნდის თამაშის ხარისხი გააკრიტიკა, მაგრამ ამავე დროს შეაქო ფეხბურთელების ბრძოლისუნარიანობა:

– პირველი ტაიმი ძალიან ცუდად ჩავატარეთ და ჩელსი დამსახურებულად იგებდა, მაგრამ მეორე ტაიმში ხასიათი ვაჩვენეთ და ვამაყობ, რომ ასეთი გუნდი მყავს. წელს აუცილებლად ჩემპიონობისთვის ვიბრძოლებთ.

ხვიჩა კვარაცხელიამ ვერონასთან 2 გოლის გატანა შეძლო

ნაპოლის ქართველმა ფორვარდმა ხვიჩა კვარაცხელიამ ვერონასთან შეხვედრაში დუბლი შეასრულა და თავის გუნდს ძალიან დაეხმარა გამარჯვებაში. კვარაცხელიას გარდა, თავი მატეო პოლიტანომაც გამოიჩინა. საბოლოოდ ნაპოლიმ შეხვედრა 3:1 მოიგო და ამჟამად ის სატურნირო ცხრილში მე-5 ადგილზე იმყოფება, რადგან სეზონის სტარტზე საკმაოდ დაკარგეს ქულები.

გარდა ამისა, ერთი თვის მანძილზე გუნდს ვერ დაეხმარება ნიგერიელი ფორვარდი ვიქტორ ოსიმენი.

ერიკ ტენ ჰაგი: „მანჩესტერ იუნაიტედი ნელ-ნელა ჩვეულ ფორმას უბრუნდება“

მანჩესტერ იუნაიტედმა სტუმრად შეფილდი დაამარცხა 2:1 და სატურნირო მდგომარეობა შედარებით გამოისწორა. შეხვედრის შემდეგ მანჩესტერის მთავარმა მწვრთნელმა ერიკ ტენ ჰააგმა თქვა, რომ მისი გუნდი ნელ-ნელა ჩვეულ ფორმას უბრუნდება:

– მიხარია, რომ მოვიგეთ, რადგან, რთული სტარტის შემდეგ, ნელ-ნელა ისევ ვიბრუნებთ ფორმასა და პოზიციებს. მანჩესტერი მინიმუმ ოთხეულში მოსახვედრად იბრძოლებს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ლიზი გოზალიშვილმა გერმანულ „ვოისში“ რინგის ტური მოიგო

ქართველმა მომღერალმა ლიზი გოზალიშვილმა გერმანული „ვოისის“ რინგის ტურში გაიმარჯვა.

მან თავის მეწყვილესთან ერთად მწვრთნელის მიერ მიცემული დავალება უმაღლეს დონეზე შეასრულა და საუცხოოდ იმღერა. „ვოისის“ ყველა მწვრთნელმა ლიზის უპირატესობა აღიარა და ამიტომაც ქართველი მომღერლის მენტორმა გადაწყვეტილება სწორედ ლიზის სასარგებლოდ მიიღო.

დავით წერედიანზე ფილმი გადაიღეს

პოეტსა და მთარგმნელ დავით წერედიანზე ფილმი გადაიღეს. მისი ჩვენება მწერალთა სახლში მოეწყო.

„დავით წერედიანი – ავტოპორტრეტი“ – ასე ჰქვია ნინო ხოფერიას ავტორობით შექმნილ ფილმს.

ფილმის ჩვენების შემდეგ, პოეტი მისმა მეგობრებმა და ახლობლებმა გაიხსენეს და დავით წერედიანის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე ისაუბრეს.

გია სურამელაშვილმა საქართველო დატოვა

მომღერალმა გია სურამელაშვილმა საქართველო დატოვა და ამერიკაში გაემგზავრა.

ამჟამად მომღერალი ფილადელფიაში იმყოფება. როგორც გიამ განაცხადა, სამშობლოსგან შორს მოუწევს საკუთარ კარიერაზე ზრუნვა.

თათია შარანგია: „ხალხს ნუ დაღლით ჩემი პირადი სივრცით“

ტელეწამყვანი და პიანისტი ხატია შარანგია მეუღლეს, ჯარჯი თორაძეს შეურიგდა. ამ ამბის გამო, მის მიმართ ჟურნალისტების ინტერესი გაორმაგდა, რამაც თათია და ჯარჯი უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდო:

– გულწრფელად გთხოვთ, ნუ აზიარებთ ყველა ფოტოსა თუ ვიდეოს, რასაც ვდებ და ნუ არქმევთ რაღაც საოცარ სახელებს. მე თქვენ გიფრთხილდებით და იგივეს გთხოვთ თქვენც. გთხოვთ და არა მოვითხოვ.

მსოფლიოში იმდენი პრობლემაა და მით უფრო ჩვენს ქვეყანაში, ხალხს ნუ დაღლით ჩემი პირადი სივრცით, გთხოვთ. იმდენი პრობლემაა, არავის აინტერესებს რას ვაკეთებ ყოველდღიურად მე. ბევრად უფრო გამიხარდება გავიგო, ვის სჭირდება დახმარება, ვინ გაიმარჯვა პიანისტთა საერთაშორისო კონკურსზე და ა.შ. ისედაც არ გამოვირჩევი დიდი აქტიურობით სოციალურ ქსელებში. მაგრამ შვილების ფოტოა ეს, თუ ქმრის, ამას ვდებ ჩემს პირად გვერდზე, რადგან ვცხოვრობ ჩემი ცხოვრებით და რადგან მინდა გამომწერებს გავუზიარო რიგი მოვლენები, ისედაც ვაკლებ მათ ყურადღებას. არ ვთვლი, რომ საზოგადოების, ვისაც სულაც არ ვაინტერესებ მე, ვაღიზიანებ, ან თუნდაც ვუყვარვარ, ყოველდღიურად განსახილველი უნდა გახდეს ყველაფერი, თითქოს მე ვახვევ მათ თავს ბედნიერებას თუ დილის საუზმეს.

მადლობელი ვიქნები, თუ დაასვენებთ საზოგადოებას ჩვენი წყვილისგან და ჩემი ფოტოებისგან. თუ რამე ქვეყნისთვის საკეთილდღეოს შევქმნით მე და ჩემი მეუღლე, ან მოგვწონებათ ინტერვიუ, რომელიც შედგა ჩემს სტუმართან და გაუზიარებთ საზოგადოებას, მხოლოდ გამიხარდება. ეს პოსტიც გთხოვთ გააცანით მათ.

მიყვარხართ და წინასწარ გიხდით მადლობას.

ნუცა შანშიაშვილი: „ყველაზე დიდი ჯილდო ადამიანისათვის არის სიცოცხლე“

– გასაოცარ ვერსიებს ვუსმენ იმ სიტუაციებზე, რაც დღეს ხდება მსოფლიოში! აბსოლუტურად გარეკილი აქვს თითქმის ყველას, თან ისეთ ვერსიებს დებენ ექსპერტების სახით, როდესაც ვუსმენ, არ ვიცი, ვიცინო თუ ვიტირო!

სინამდვილეში მოხდება ის, რასაც არავინ ველოდებით, გადაწყდება და გაირკვევა, იქ, სადაც ვერც კი წარმოგვედგინა, რომ შესაძლებელი იყო! და საერთოდ, კონსპირაციული აზრების ფრქვევას სჯობს შევხედოთ სიტუაციას ისეთს, როგორიც რეალურად არის!

ტერორისტი ტერორისტია, კარგი ადამიანი კარგია!

მსოფლიო უზარმაზარი არასაჭირო, უფუნქციო ადგილებით არის სავსე, ხოლო პატარა ტერიტორიები კი არის გენიალური ადამიანებით დასახლებული!

ძალიან საინტერესოა, რად უნდა შემქმნელს ამდენი გაუნათლებელი, ბნელი აზროვნების მქონე ადამიანი, თუგინდ პაწაწინა ისრაელთან მიმართებაში! ვერ იტანენ და ებრძვიან იმ ხალხს, ვისგანაც პრინციპში მთელ სამყაროს აქვს გადაცემული რელიგიებიდან დაწყებული, ყოველგვარი განათლების უმთავრესი ფუნდამენტური საწყისები! და ეს ხალხია ებრაელი ხალხი! კი, რა თქმა უნდა, ებრაელ ხალხშიც არის უთანხმოება და დაუნდობლობა, მაგრამ ზოგადად მეფე დავითიდან დაწყებული, ქრისტეთი დამთავრებული, შუაში აღარ ჩავწერ რაოდენობრივად უთვლელ ფიზიკოსს, მეცნიერსა და ხელოვანს, ხომ იყვნენ და არიან ებრაელები? ბევრი კითხვა მაქვს, რომელზედაც აქვს პასუხები მარტო შემქმნელს, რომელიც დგას ყველაფრის სათავეში და ერთადერთი რამ, რაც მრჩება, ეს არის გაუთავებელი ლოცვა ყველგან და ყოველთვის, სცენაზე ვარ, საჭესთან თუ სამზარეულოში! ამ გზით ვპოულობ შვებასა და სიწყნარეს ამ ტრაგიკომიკურ, უტვინო სამყაროში!

მიუხედავად იმისა, რომ სიმშვენიერისა და სინათლის წყაროს წარმოადგენს ჩვენი სიცოცხლე, მაინც ვიტოვებ ტვინში იმ ფაქტს, რომ შესაძლებელია სწორედ სულების გამოსასწორებელ კოლონიასაც წარმოადგენს ჩვენი დედამიწა და სავარაუდოდ, ყველა სულს თავისი მისია გვაქვს!

ყველაზე დიდი ჯილდო კი ადამიანისათვის არის სიცოცხლე და ამ განძს ვერ ვუფრთხილდებით, სწორ კონტექსტში ვერ ვიყენებთ და იმის მაგივრად, რომ ჩვენი არსებობის საფეხურიდან ავიწიოთ უმაღლეს სამყაროებამდე, ვრჩებით ისევ და ისევ დაძირულ კოლონიაში, სადაც სამართალი არის მარტო სამაგიეროს გადახდა, წაგლეჯვა, მითვისება და ცხოველური გამარჯვებით ზეიმი.

„მგზავრების“ კლიპი „ვალსი“ წლის საუკეთესო კლიპის ნომინაციაშია

ჯგუფ „მგზავრების“ ერთ-ერთი ბოლო ნამუშევარი, ვიდეორგოლი „ვალსი“ წლის საუკეთესო კლიპის ნომინაციაში მოხვდა. ვიდეორგოლის ავტორი აფხაზი რეჟისორი ლადო კვატანიაა. კლიპი ეძღვნება ჩვენგან წასულ ახლობლებს, რომლებიც გარდაცვალების შემდეგაც კი არ გვტოვებენ.

გამარჯვებული 22 ნოემბერს გამოვლინდება.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. უძველესი ქართული დამწერლობა; 2. გერმანელი მიკრობიოლოგი, ეპიდემიოლოგიისა და ბაქტერიოლოგიის ფუძემდებელი; 3. ესპანეთის ლიგაში მოთამაშე ქართველი კალათბურთელი; 4. ჟორჟ სიმენონის ნაწარმოებთა პერსონაჟი, დეტექტივი; 5. დაბალი ხარისხის მურა ქვანახშირი; 8. ფრანგი მოქანდაკე; 9. ლიტერატურული კრებული, სადაც დაბეჭდილია სხვადასხვა ავტორთა რჩეული ნაწარმოებები; 12. უდაბნოდან მობერილი მშრალი ცხელი ქარი; 14. მთის ბროლი, კვარცის ნაირსახეობა; 16. ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობა.

თარაზულად: 1. წითელი ფერის, ნახევრად ტკბილი ქართული სამარკო ღვინო; 6. ხორცის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა; 7. ქალაქი, კანტონი, ტბა შვეიცარიაში; 9. ოქროს მწარმოებელი ფირმა საქართველოში; 10. ხელოვნების მუზეუმი ლოს-ანჟელესში; 11. კუთხე საქართველოში; 13. დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის საერთაშორისო ხელშეკრულება; 15. ქართველი მგოსანი; 17. მინის ლაბორატორიული ჭურჭელი; 18. ბრიტანული მსუბუქი ავტომობილი; 19. ტაივანის დედაქალაქი; 20. ავტონომიური ოლქი ჩეხეთში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა